საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ სკოლას გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტი, რომლის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გამოხატა თანხმობა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მტკიცებულებებით; ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლა ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს და ითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში; სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით განხორციელებულია ღონისძიებები შემდეგი ინდიკატორების დასაკმაყოფილებლად:

- სკოლას მისიით გაცხადებული აქვს საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერის შესახებ, თუმცა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში არ არის ასახული კონკრეტული ამოცანები და აქტივობები ამ მიმართულებით, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ** 1.2.1.2- **ის** მოთხოვნებს:

**სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს:**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ( 2026-2033 წწ) რედაქტირებული ფორმა, რომელშიც დაზუსტებულია კონკრეტული ამოცანების შესაბამისობა მისიის განაცხადდთან;

განხორციელებული ცვლილებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: სკოლის განვითარების რედაქტირებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ( 2026-2033 წწ)
**ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

- ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის დაზუსტებული რა ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფს სკოლა კონკრეტული აქტივობის განხორციელებას, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 1.2.1.4-ის** მოთხოვნებს:

**სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია;**

სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის რედაქტირებული ფორმა, საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ დააკონკრეტა თუ რა ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას; განხორციელებული ცვლილებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: რედაქტირებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

**ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

- სკოლას არ აქვს წარმოდგენილი უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ N 3.4.1.1-ის** მოთხოვნებს:

**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან;
სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

**ინდიკატორი N 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია**

- სკოლის რეაბილიტირებულ შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოსაწყობად გამოყოფილია სივრცე, სადაც არ არის განთავსებული შესაბამისი ინვენტარი და აღჭურვილობა, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ N 3.4.1.2-ის** მოთხოვნებს:

**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;**
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სკოლის სამედიცინო კაბინეტის სრული აღჭურვა, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

**ინდიკატორი N 3.4.1.2. მეტწილ შესაბამისობაშია**

- სკოლის შენობის გარე ფასადზე და შიგა ინტერიერში დამონტაჟებულია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერები, რომლებიც არ არის ჩართულ მდგომარეობაში და ვერ ხერხდება დაფარვის ზონების დადგენა ( საქ. განათლების მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის 06/ნ ბრძანების 41-ე მუხლის მოთხოვნა), რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ N 3.4.1.3-ის** მოთხოვნებს:

**სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთავლო კამერების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

**ინდიკატორი N 3.4.1.3. მეტწილ შესაბამისობაშია**

- სკოლა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ N 3.5.1.1.-ის** მოთხოვნებს:

**სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-30.04.2027), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით,

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

**ინდიკატორი N 3.5.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია**

- სკოლის რეაბილიტირებულ შენობაში სასკოლო ბიბლიოთეკის მოსაწყობად გამოყოფილია შესაბამისი სივრცე, რომელიც არ არის შევსებული წიგნადი ფონდითა და ინვენტარით, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ N 3.5.1.3-ის** მოთხოვნებს:

**სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სივრცის სრული კეთილმოწყობა კანონმდებლობით განსაზღვრული სერვისების მისაწოდებლად:

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

**ინდიკატორი N 3.5.1.3. მეტწილ შესაბამისობაშია**

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილება და ხელმისაწვდომობა კურიკულუმით განსაზღვრულ ან/და სხვადასხვა აქტივობის შესაბამის სივრცეებთან არ არის უზრუნველყოფილი სართულების დამაკავშირებელი ლიფტის ტექნიკური გამართულობის შესახებ დასკვნის არ არსებობის გამო, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ N 3.5.1.4-ის** მოთხოვნებს:

**სკოლის ინფრასრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სართულების დამაკავშირებელი ლიფტის ტექნიკური გამართულობის შესახებ დასკვნის მოპოვება;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

**ინდიკატორი N 3.5.1.4. მეტწილ შესაბამისობაშია**

- სკოლას არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია პრაქტიკული და კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ N 2.2.2.3-ის** მოთხოვნებს:

**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-30.04.2027), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიების სრულად აღჭურვა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, პრაქტიკული და კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

**ინდიკატორი N 3.5.1.4. მეტწილ შესაბამისობაშია**

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სსიპ-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. შუხუთის საჯარო სკოლის **მისიაა:**
ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში, ხარისხიანი განათლებითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით,აღვზარდოთ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი პატრიოტი მოქალაქეები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი **ხედვის** მიხედვით: სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას XXI საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ - ფუნქციური უნარებით, რასაც მიაღწევენ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ შრომის ბაზარზე როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით.
სკოლის **ღირებულებებია** : თანამშრომლობა, გუნდურობა, გამჭირვალობა, დემოკრატია, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, ასევე ადგილზე ვიზიტით დასტურდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მისიისა და ხედვის დოკუმენტი შეიცავს იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რაც კონკრეტული სკოლისთვის არის დამახასიათებელი და სპეციფიკური;
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ შემუშავებული მისიისა და ხედვის შინაარსით დასტურდება, რომ სკოლა მოიაზრებს საკუთარ თავს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ნაწილად; ჯანსაღი, უსაფრთხო, პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნით სკოლა უზრუნველყოფს როგორც ფიზიკურ უსაფრთხოებას, ასევე, ემოციურ და სოციალურ მხარდაჭერას; სკოლა ორიენტირებულია ხარისხიანი განათლების მიწოდებითა და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლებით მოსწავლეთა

აღჭურვაზე XXI საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ - ფუნქციური უნარებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მომზადებას წარმატებული საქმიანობისა და ცხოვრებაში ინტეგრაციისათვის;
სკოლა, როგორც კულტურული სივრცე , ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა კულტურათა მიმართ გააზრებული და ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რაც დასტურდება სკოლაში განხორციელებული ღონისძიებებით: სპორტული შეჯიბრებები, ვორქშოპები, სამეცნიერო პიკნიკი,ვიზიტი კიურის ლაბორატორიაში, მეცნიერ ქალთა დღის აღნიშვნა, გარემოს დაცვითი სლოგანების კონკურსის ჩატარება და ა.შ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების (თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები) ჩართულობით არის შემუშავებული. შემუშავების პროცესზე პასუხისმგებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილები არიან სკოლის თანამშრომლები და მშობელთა წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში არ ყოფილან ჩართულები მოსწავლეები, თუმცა, სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის ჩამოყალიბებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, აღენიშნათ მიმართულებები, რომლებიც სკოლის საქმიანობის ძირითად მიზნად მიაჩნიათ, წარმოედგინათ მოსაზრებები, თუ როგორ ხედავენ სკოლის მისიას, წარმოედგინათ კონკრეტული წინადადებები მისიის განაცხადში საჭირო აქცენტების გაკეთების შესახებ, გამოეთქვათ მოსაზრებები ორგანიზაციის ღირებულებების შესახებ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე, ადგილზე გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი ხელმისაწვდომი იყო სრულიად სასკოლო საზოგადოებისათვის. მშობლებისა და მოსწავლეებისათვის შექმნილი იყო კითხვარები სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებით, სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ, იმართებოდა სისტემატური შეხვედრები მისია, ხედვა, ღირებულებების აღმწერი დოკუმენტის გასაცნობად, ასევე, დამრიგებლები, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ხვდებოდნენ მშობლებსა და მოსწავლეებს აღნიშნული დოკუმენტის გასაცნობად. შეხვედრებზე სასკოლო საზოგადოების მიერ ხდებოდა აღნიშნული დოკუმენტების განხილვა და სხვადასხვა მოსაზრების დაფიქსირება; საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებდა მისია, ხედვა ღირებულებების დასახვეწად; ამდენად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულიად მისაღები და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ასევე გასაუბრებით აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ადასტურებს სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის გაზიარებას ციფრული და მატერიალური არხებით, სკოლის ფეისბუქ-გვერდით, მშობელთათვის შექმნილი მესენჯერ-ჯგუფებით, სკოლის პერსონალის სოციალური ქსელების პირადი ანგარიშებით, სკოლის ფოიეში არსებული საცნობარო დაფით და ა.შ.

ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები ფართო ფორმატის ფურცელზე ამობეჭდილი და გაკრული იყო სკოლის ფოიეში . ასევე სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, სადაც ატვირთულია სკოლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N 448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია:

**სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლა**

შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და ყველა ოფიციალურ დოკუმენტში მოიხსენიება ამ დეფინიციით;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
3. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
4. პუბლიკაციები სოციალურ მედიასა და „ახალ განათლებაში";
5. Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები.

6. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
7. მშობელთა კრების ოქმი

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის და მათი პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვითა და SWOT-ანალიზით,რომლის ფარგლებშიც იდენტიფიცირებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. სსიპ -ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და

წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი და მოიცავს 2025-2032 წწ პერიოდს. სატრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ და ეფუძნება ციკლურ პროცესს 7- წლიანი პერიოდულობით. სკოლის მიერ შემუშავებული სატრატეგიული განვითარების გეგმა ძირითადად გამომდინარეობს სკოლის მისიისა და ხედვის შინაარსიდან და წარმოადგენს მათი რეალიზების საშუალებას; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას მისიაში გაცხადებული აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერის შესახებ, რაც დასტურდება სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში დასახული ამოცანებითა და შესაბამისი აქტივობებით;

სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და მათი შესრულების ვადებს. სტარატეგიული გეგმის მიხედვით იკვეთება შემდეგი მიზნები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება;

ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტების შესწავლით დადასტურდა, რომ სტრატეგიული მიზნების სტრუქტურა არის მკაფიო და მოქნილი, რაც სკოლას საშუალებას აძლევს, მოახდინოს რეაგირება ცვალებად გარემოებაზე ისე, რომ არ დაირღვეს საერთო სტრატეგიული ხაზი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის მიდვით უზრუნველყოფს მასში გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას 2025-2026 სასწავლო წლისათვის. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, რომლებიც სრულ შთაბეჭდილებას ქმნის პროცესების და საქმიანობის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნული გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრული მიზნებიდან; გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული შესრულების პერიოდები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესის ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულებას. ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლით დადასტურდა ლოგიკური ჯაჭვი: სტრატეგიული მიზანი -> სამოქმედო ამოცანა -> კონკრეტული აქტივობა. აღნიშნული სტრუქტურა იძლევა საშუალებას, რომ სკოლამ თანმიმდევრულად მიაღწიოს გრძელვადიან პერსპექტივაში დასახულ შედეგებს, ხოლო აქტივობების შინაარსი მიუთითებს მათ რეალისტურობასა და სკოლის რესურსებთან თანხვედრაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმა გაწერილია 2025-2026 სასწავლო წელზე. მასში განსაზღვრული აქტივობები გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, გეგმის შესრულების გაზომავდი მექანიზმები და ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები; რესურსების გრაფაში სკოლას არ აქვს განსაზღვრული თუ რა ფინასური, ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივობის განხორციელებას; გეგმა,ასევე, მოიცავს შესრულების ინდიკატორების შესახებ ინფორმაციას

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, დაზუსტებულია ყოველი სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის რა ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსია გათვალისწინებული;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

1. 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში დეტალურად არის აღწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-12 მუხლის მიხედვით, სკოლა ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ: იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. ჯგუფის თავმჯდომარე დეტალურად განიხილავს სამოქმედო გეგმის ნაწილებს და პასუხისმგებელი პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისათვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ვიზიტით დადასტურდა, რომ სკოლა სისტემატურად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რაც მეთოდოლოგიით განსაზღვრულ პერიოდულობას ეფუძნება. კერძოდ.სკოლა ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ: სასწავლო წლის იანვარსა და ივნისში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს. სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების ნახევარწლიანი პერიოდის ანგარიში, სადაც ნაჩვენებია სხვადასხვა

აქტივობის შესრულების დინამიკა „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ შეფასების მინიჭებით. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს სკოლა აგენერირებს და ითავლისწინებს შემდგომი განვითარებისათვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს ატარებს მეთოდოლოგიის დოკუმენტში მითითებული სტრუქტურული ერთეული- დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი; აღნიშნული საკითხი რეგულირდება „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით“, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ვალდებულებასა და მექანიზმებს. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შედეგები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ინფორმაციის გაზიარება ხდება პერიოდული შეხვედრების, საბჭოების სხდომებისა და ანგარიშების წარდგენის გზით. სკოლას გააზრებული აქვს საჯაროობის მნიშვნელობა ინსტიტუციური ნდობის გაძლიერებისთვის და სამომავლოდ გეგმავს ამ პროცესის კიდევ უფრო მეტად გაფართოებასა და გაციფრულებას, რათა შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოების უფრო ფართო წარმომადგენლობისათვის. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას. გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება ხდება სტრუქტურული ერთეულების მიერ. სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენის საშუალებებად მიჩნეულია, ასევე, პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომები

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშში ასახული ინფორმაცია, როგორც ეს განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტში, გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის და სკოლის განვითარების მიზნით, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს ასევე, სამოქმედო/სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილების მიზნით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
2. 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;

3. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების კითხვარისა და ვიზიტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები. აღნიშნული ერთეულების საქმიანობა და მათ შორის კოორდინაციის მექანიზმები რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და „საჯარო სკოლის წესდების" მოთხოვნათა შესაბამისად. დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სკოლის შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თითოეული თანამშრომლისათვის მკაფიოდაა განსაზღვრული ფუნქციები, უფლება-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები. დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები დაზუსტებულია თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია-მოვალეობების აღმწერ დოკუმენტში და თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სტრუქტურული ერთეულების აღმწერი დოკუმენტის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურის სქემა/ორგანოგრამა, რომლითაც განსაზღვრულია თანამდებობრივი დაქვემდებარებები და ურთიერთმიმართებები, ასევე სტრუქტურული ერთეულების/პირების ანგარიშვალდებულება და ფუნქციები;

**რჩევა**: სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და მოვალეობები სკოლას გაწერილი და დამტკიცებული აქვს ცალ-ცალკე დოკუმენტის სახით, სასურველია ერთიანი დოკუმენტის სახით შეიქმნას და დამტკიცდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის ნებისმიერი თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტებით: თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალს შორის მოვალეობების დიფერენცირება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან და გამჭვირვალე მართვას.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის (პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვ.) და პერსონალისთვის (მაგალითად, ბიბლიოთეკარი) შემუშავებულია შესაბამისი დებულებები და სამუშაო აღწერილობები. აღნიშნული დოკუმენტები, თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან ერთად, ქმნის ვალდებულებების შესრულების მკაფიო სისტემას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი;
- თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულება
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- სკოლის სტრუქტურა;
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები;
- მრჩეველთა საბჭოს დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის პროცესების აღმწერი დოკუმენტი-„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი", რომელიც გულისხმობს სკოლის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სკოლის მიერ დასახული მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანებია: ა) სკოლის პერსონალის მართვა; ბ)დასაქმებულთა მუდმივი განვითრება, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნება; გ)კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; დ) სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ე)დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლება/წახალისება; ვ) პერსონალის შეფასების სისტემის დანერგვა; აღსანიშნავია, რომ სკოლა ზრუნავს არა მხოლოდ პედაგოგიური პერსონალის, არამედ სხვა თანამშრომლების განვითარებაზეც. მათი საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება მრავალმხრივი მიდგომით, რაც გულისხმობს შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვებასა და თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას. პერსონალის მართვის ასეთი პოლიტიკა ქმნის მყარ საფუძველს სკოლის ინსტიტუციური განვითარებისთვის, რამდენადაც იგი მიმართულია ადამიანური კაპიტალის გაძლიერებასა და სამუშაო პროცესების ეფექტიანობის ზრდაზე. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი და ა.შ. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია თანამშრომელთა საჭიროებების წინასწარ იდენტიფიცირებასა და მათზე დროულ რეაგირებაზე. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი ის ამოცანები, რომლებიც სკოლას ეხმარება პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზში; სკოლა, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის კითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს ?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს თანამშრომლების საქმიანობაზე?

სკოლა აქტიურად აფასებს იმ პოტენციურ საფრთხეებსა და ზეგავლენებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს თანამშრომელთა პროდუქტიულობასა და სასკოლო კლიმატზე. პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები თანამშრომელთა განვითარებისთვის. სკოლის მიდგომა ეფუძნება პერსონალის ინტერესების გათვალისწინებასა და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას, რაც პირდაპირ აისახება საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობაზე. პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმების არსებობა უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესის მდგრადობასა და მოქნილობას, სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლას შეუძლია რისკების მართვა და ფუნქციების სხვაზე დელეგირებს –მასწვლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში კადრების შერჩევისა და მიღების პროცესი გამჭვირვალეა და სრულად შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს. ვაკანსიის შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების („მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“) საფუძველზე. პერსონალის მართვის პოლიტიკის მარეგულირებელ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები: საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით სკოლა აცხადებს ღია ან დახურულ კონკურსს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, პედაგოგთა შემთხვევაში, კონკურსის ორგანიზებისას იქმნება საკონკურსო კომისია, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები.კონკურსი ცხადდება ვებ. გვერდზე -teachers.jobs.ge , სადაც აპლიკანტები წარმოადგენენ განაცხადს. პირველ ეტაპზე ხდება საბუთების გადარჩევა, ელექტრონულ ფოსტაზე აპლიკანტებს ეგზავნებათ პასუხი, მეორე ეტაპზე ხდება აპლიკანტების მოწვევა გასაუბრებაზე კომისიასთან, რომლის შემადგენლობაში შედიან, როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული სპეციალისტები. კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ეცნობება აპლიკანტს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

სკოლაში დასაქმებული პერსონალის პირად საქმეში ინახება ყველა ის დოკუმენტი, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დაწესებული რეგულაციებით, კერძოდ, სკოლის ყველა თანამშრომელს წარმოდგენი;ლი აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა ზედმიწევნით იცავს პერსონალის მიღებისა და შრომითი ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებს;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის ადამიანური რესურსი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების სტაბილურობას. მასწავლებლის შერჩევა და დასაქმება ხორციელდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით. სკოლას, ასევე, შემუშავებული აქვს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად აქვთ გაწერილი თითოეული პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები; დღეისათვის სკოლაში დასაქმებულია 25 მასწავლებელი, რომელთაგან 22 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 3 მასწავლებელი არის წამყვანი. გარდა პედაგოგიური პერსონალისა, სკოლა უზრუნველყოფილია დამხმარე ტექნიკური პერსონალით, რაც აუცილებელია სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და უსაფრთხოებისათვის. კერძოდ, სკოლას ჰყავს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ორი დარაჯი, ორი დამლაგებელი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, თითოეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები კანონმდებლობის დაცვით.სკოლაში პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ დასაქმებულთა კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სკოლაში დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებას №41/ნ/01-23/.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ჩამოყალიბებული ორგანიზაციული კულტურა ორიენტირებულია თანამშრომლობით გარემოზე, სადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი ეფუძნება მონაწილეობითობის პრინციპს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ სკოლის მუშაობა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც თავლშისაცემი იყო დაწესებულებაში ვიზიტისას. სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული გაკვეთილებისა და განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში სკოლის თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია და სკოლის ატმოსფერო იყო ძალიან პოზიტიური და თანამშრომლობაზე ორიენტირებული

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

1. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულების მიხედვით, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთმანეთს აძლევენ სიტყვიერ რეკომენდაციებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის: პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/დამნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:
ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ)ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს, წარმატების გაზიარება ხდება ასევე სკოლის სოციალური ქსელებისა და ვებგვერდის გამოყენებით;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის ორგანოგრამა;
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
3. საშტატო განრიგი;
4. საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;
5. საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;
6. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების შესახებ;
7. თანამშრომლეთა პირადი საქმეები;
8. შრომითი ხელშეკრულებები;
9. eschool ბაზის მონაცემები;
10. სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**
**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში, გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.პერსონალის შეფასების მექანიზმები აღწერილია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-11 მუხლში. მოცემული დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვისა და შეფასების პროცესი. დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა ( მონიტორინგი: დირექციისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ამ მიმართულებით სკოლის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ხარისხის ჯგუფის შექმნა. აღნიშნული ჯგუფის ფუნქციაში შედის სასწავლო პროცესზე რეგულარული დაკვირვება და მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს პედაგოგთა ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტურ გამოვლენას, პროფესიული განვიტარების საჭიროებების დადგენას, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება მათთვის ინდივიდუალური მხარდაჭერისა და განვითარების გეგმების შემუშავებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესი ეფუძნება პრაქტიკული დაკვირვებისა და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრების შემდგომ, მასწავლებლები იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც საშუალებას იძლევა ინდივიდუალურად განისაზღვროს თითოეული პედაგოგის პროფესიული საჭიროებები.აღსანიშნავია, რომ სკოლა და მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სადიაგნოსტიკო თუ პროფესიული კომპეტენციის ასამაღლებელ ტრენინგ-კურსებში. პერსონალის მზაობა მუდმივი განვითარებისთვის დასტურდება მათ მიერ მოპოვებული შესაბამისი სერტიფიკატებითა და პროფესიული აქტივობებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, დროულად აწვდის ინფორმაციას სიახლეების და ცვლილებების შესახებ მასწავლებლები რეგისტრირდებიან და ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებს. პედაგოგები ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ძირითადად მიმართულია სწავლა-სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ სკოლა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის აქტიურად იყენებს საერთო სასკოლო პროექტებს. ადმინისტრაცია მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს იმ პედაგოგებს, რომელთაც სურთ კარიერული წინსვლა (სტატუსის ამაღლება), რაც სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების ერთგვარი სტიმულია.აღსანიშნავია სკოლის სამომავლო ხედვაც არაპედაგოგ პერსონალთან მიმართებით, რაც გულისხმობს მათი საჭიროებების სიღრმისეულ დადგენასა და შესაბამისი ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვას. კარიერული ზრდის ასეთი ორგანიზებული მხარდაჭერა ხელს უწყობს სკოლაში კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის სტაბილურ ზრდას

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს თუ როგორ ხდება ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან და როგორ უზრუნველყოფს მის ეფექტურად ჩართვას სამუშაო პროცესში. მარეგულირებელი დოკუმენტის მე-6 მუხლში აღწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესი და განსაზღვრულია პირები, რომელთაც ევალებათ ადაპტაციის პროცესებზე ხელის შეწყობა, გაწერილია მათი ფუნქციები. ადაპტაციის პროცესებზე პასუხისმგებელი პირებია: დირექტორის მოადგილე, კათედრების თავმჯდომარეები, საინფორმაციო მენეჯერი.

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პერიოდი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- მოლოდინები- მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ;
- შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი;

- „ოჯახის წევრობა“- სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ვიზიტის დროს გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მხარს უჭერს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გამოიხატება როგორც სკოლის შიგნით განსახორციელებელი აქტივობებით, ასევე, სკოლის გარეთ. ინიციატივების წახალისების მექანიზმები გაწერილია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში: პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები ;დასაქმებულის მოტივაციის ხარისხს განაპირობებს სკოლაში დამკვიდრებული გარემოს თავისებურებები (ორგანიზებული კულტურა) და სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური მართვის მექანიზმები, რომელთა მეშვეობით დასაქმებული გარანტირებულად მიიღებს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას. ესენია: წახალისება და ორგანიზაციული კლიმატის კვლევა;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. მასწავლებელთა საჭიროების მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესების მართვა

### 3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სისტემურ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანხვედრას დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი „ხარისხის მართვის დოკუმენტი" აგებულია უწყვეტი განვითარების ციკლურ პრინციპზე (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე), რაც სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტის მუდმივ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ამ დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა)სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
გ) შემოწმების განხორციელება ( არაგეგმიური შემოწმება)
დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;
ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება;

ამ ეტაპების განხორციელების შემდეგ, ხარისხის მართვის სამსახური ადგენს დასკვნას და წარუდგენს შესაბამის ორგანოს;
აღსანიშნავია, რომ .საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესებში, რომლის მთავარი მიზანი სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლება და განვითარებაა; ჯგუფი ესწრება საგაკვეთილო პროცესს, აკვირდება, იძლევა შეფასებებს და უკუკავშირს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს პედაგოგთა პასუხისმგებლობა სასწავლო შედეგების ანალიზის მიმართ; მასწავლებლები

ახდენენ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების რეფლექსიას და ანალიზს წარუდგენენ საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებს. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს სწავლების ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებას და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ინტერვენციების დაგეგმვას.
ამრიგად, სკოლაში არსებული მართვის პოლიტიკა და პროცედურები ქმნის ერთიან, მართვად სისტემას, რომელიც სრულად პასუხობს სკოლის მიერ დეკლარირებულ საგანმანათლებლო პრიორიტეტებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სისტემურად არის იდენტიფიცირებული და აღწერილი ყველა მნიშვნელოვანი პროცესი. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის გამიჯნული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრების ორგანიზებულ მიმდინარეობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ თითოეული მმართველი რგოლისა და პოზიციისთვის შემუშავებულია ფუნქციური მოვალეობები. კერძოდ, განსაზღვრულია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სამეურვეო საბჭოს, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარისა და მასწავლებლის ვალდებულებები. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ეს როლი პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სკოლის მთავარ მიზანს — ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროცესების მართვის სამართლებრივ გამართულობას შესაბამისი დებულებების დამტკიცებითა და თანამშრომლებისთვის მათი გაცნობით. კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ასეთი დეტალური აღწერა და გადანაწილება ხელს უწყობს პასუხისმგებლობების მკაფიო იდენტიფიცირებას, რაც გამორიცხავს ფუნქციურ გადაფარვებს და აძლიერებს სკოლის მმართველობით რგოლებს შორის კოორდინაციას. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სასკოლ სასწავლო გეგმაში. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ეფუძნება საქმისწარმოების წესს. ამრიგად, სკოლაში არსებული პროცესების აღწერა და მართვის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პრიორიტეტებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის პირობები, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება. სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესით ხელი ეწყობა სასკოლო საზოგადოების უფლებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და უფლებების დაცვას. თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. მშობელთა ინფორმირებულობა განისაზღვრება სადამრიგებლო პროგრამებით და ხელშეკრულებით. შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება , სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი;
4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
5. საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
6. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

7. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
8. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
9. კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია", რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების განვითარების ძირითად პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები, რაც მართვის პროცესს ხდის პროგნოზირებადს და გამჭვირვალეს. უკუკავშირისა და რეაგირების მექანიზმები: სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შეთანხმების პროცესი ხორციელდება სამეურვეო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. განხილვის ეტაპზე ხდება უკუკავშირის მოსმენა და რაციონალური წინადადებების გაზიარება, რაც ადასტურებს, რომ სკოლაში მოქმედებს ორმხრივი კომუნიკაციის ეფექტური სისტემა. სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა: სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრთა ერთობლივი მონაწილეობა ხაზს უსვამს მართვის დემოკრატიულ სტილს. პროცესი, რომელიც მოიცავს დოკუმენტის საჯარო განხილვასა და სამეურვეო საბჭოზე დამტკიცებას, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებას სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით. სტრატეგიული დოკუმენტები ხელმისაწვდომია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც ხელს უწყობს ნდობის მოპოვებას და ზრდის პასუხისმგებლობას საერთო სასკოლო მიზნების მიღწევაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია და პრაქტიკული საქმიანობა (საბჭოების სხდომები, განხილვები) ადასტურებს, რომ სკოლის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების რეალური ჩართულობა და უკუკავშირის მექანიზმები ქმედითია

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს. სკოლაში ფუნქციონირებს ყველა სავალდებულო რგოლი, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის დემოკრატიულობას. საგნობრივი კათედრების მუშაობაში ჩართულია ყველა მასწავლებელი, რაც ხელს უწყობს აკადემიური საკითხების კოლეგიურ გადაწყვეტას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეურვეო საბჭოს აქტიური როლი, რომლის შემადგენლობაშიც პროპორციულად არიან

წარმოდგენილნი მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს, შეათანხმოს ან/და დაამტკიცოს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტები, რაც ადასტურებს მათ რეალურ გავლენას სკოლის მართვაზე. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს მინიჭებული შესაძლებლობა და რესურსი, აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, გამოხატოს მოსწავლეთა ინტერესები და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სასკოლო აქტივობების დაგეგმვაში. სკოლაში არსებული ინსტიტუციები (კათედრები, საბჭოები) თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპების მონიტორინგსა და მხარდაჭერას. ეს მიდგომა ხელს უწყობს საერთო პასუხისმგებლობის გადანაწილებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და კოლეგიური ორგანოების მუშაობის პრინციპები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია ყველა პირობა სასკოლო საზოგადოების წევრთა აქტიური და ქმედითი ჩართულობისთვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
3. სკოლის ფეისბუქ -გვერდი და მესინჯერ-ჯგუფები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

შუხუთის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს დროებით ახორციელებს მეზობლად მდებარე სოფ. ნიგოითის საჯარო სკოლის შენობაში. სასწავლო პროცესი ხორციელდება მეორე ცვლაში, უზრუნველყოფილია მოსწავლეების ყოველდღიური ტრანსპორტირება. სკოლას არ ჰყავს მანდატური, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადების კურსი. სკოლის პერიმეტრი დაცულია 24 საათის განმავლობაში სკოლის დარაჯის მიერ (საშტატო განრიგით გამოყოფილია დარაჯის 2 შტატი), სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობს მასწავლებელთა მორიგეობა, შესვენების დროს დამრიგებლები ყოველთვის იმყოფებიან კლასებთან, სართულების მიხედვით განაწილებულია დამლაგებლები. ყველა ეს რგოლი აქტიურად არის ჩართული ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის პროცესებში მასპინძელი სკოლის შენობაში. თავად შუხუთის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია, თუმცა მცირედი სამუშაოები დარჩენილია და სკოლასა და შესაბამის ორგანოს შორის არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, სკოლას არ აქვს შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი; სკოლის შენობის დათვალიერებით დადგინდა, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები შესრულებულია მაღალი ხარისხით და სტანდარტების გათვალისწინებით. სკოლის შენობის გარე ფასადზე და დერეფნებში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, ვიზიტის დროს ვიდეოსათვალთვალო კამერები არ იყო ჩართულ მდგომარეობაში. სკოლის დერეფნებში და საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია დაკვამლიანების დეტექტორები, სამივე სართულზე განლაგებულია სახანძრო სტენდები დამუხტულ მდგომარეობაში მყოფი ცეცხლმაქრებით.სკოლის დერეფნებში არ არის გამოკრული საევაკუაციო გეგმა; სკოლას ეზოში დამონტაჟებული აქვს წყლის ორი ათტონიანი ავზი, რომელიც მიერთებულია შესაბამის ჰიდრანტთან; სკოლას გაგზავნილი აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობის **სახანძრო უსაფრთხოების** მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ; სკოლამ წარმოადგინა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობის **ექსპლუატაციის უსაფრთხოების** შესახებ; სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს **საგანგებო სიტუაციების მართვის** გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან;

**რჩევა**:სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი;

**ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

მასპინძელი სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. პირველადი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელიც კეთილსინდისიერად

ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს. ექიმი რეგულარულად აწარმოებს მედიკამენტების გაცემის აღრიცხვის ჟურნალს (დღიურს). ჟურნალში ზუსტად ფიქსირდება დახმარების გაწევის დრო და გაცემული პრეპარატის დასახელება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კონტროლს. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. კაბინეტში არის მაცივარი ყინულისათვის, საკაცე, წყლის გამათბობელი და ნიჟარა; ექიმი აწარმოებს ყოველდღიურ ჟურნალს, რომელშიც ასახულია სამედიცინო კაბინეტში განხორციელებული ქმედებები; სათანადო უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად სამედიცინო კაბინეტში არსებული ტახტი შემოსაზღვრული ხელოვნური ბარიერით;

შუხუთის საჯარო სკოლის რეაბილიტირებულ შენობაში გამოყოფილია სივრცე სამედიცინო კაბინეტის მოსაწყობად, თუმცა შესაბამისი ინვენტარისა და აღჭურვილობის გარეშე; სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სკოლის სამედიცინო კაბინეტის სრული აღჭურვა, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;

**ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია**

### 3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია შესაბამისი პირები, გადანაწილებულია მოვალეობები. სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირებს და სკოლის დირექციას, ასევე ამ პროცესებში ჩართულია სკოლის 2 დარაჯი, დამრიგებლები და მორიგეები, რომლებიც მორიგეობის განრიგის მიხედვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან გააკონტროლონ მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის 112--ნომრების შესახებ. სკოლაში დამონტაჟებულია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერები, რომელიც არ არის ჩართულ მდგომარეობაში ( საქ. განათლების მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის 06/ნ ბრძანების 41-ე მუხლის მოთხოვნა); სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთავლო კამერების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;

**ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის მისიის, შინაგაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა აღწერებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან (დასაქმებული და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები ორიენტირებულია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულისთვის შემუშავებულია სხვადასხვა წესი და სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება არა ერთი საგანმანათლებლო აქტივობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირება ხელს უწყობს პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას და მოსწავლეთა ემოციურ სტაბილურობას. ვიზიტის დროს მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მოსწავლეთა ემოციურ კეთილდღეობაზე. ერთობლივი ღონისძიებები ქმნის პლატფორმას თვითგამოხატვისთვის, რაც პოზიტიურად აისახება მოსწავლეთა თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის წარმოადგენს ბულინგისა და სხვა სახის ძალადობის პრევენციის ეფექტურ მექანიზმს, რაც უზრუნველყოფს ემოციურად უსაფრთხო გარემოს მდგრადობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებული სოციალურ-ემოციური კლიმატი და მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის არსებული პოზიტიური ურთიერთობები სრულად პასუხობს ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს მოთხოვნებს.

სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის 437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისი რეგულაცია -**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რემედიაციის პროგრამის დებულება**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის შენობის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია, რაც დასტურდება შესაბამის სუბიექტებთან დადებული ხელშეკრულებების შინაარსით. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებს ორი დამლაგებელი. პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი, ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ სივრცეში. მასპინძელ სკოლაში, მიუხადავად არა სათანადო პირობებისა, სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

### 6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული და დანერგილი აქვს „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელოს, რომელიც არეგულირებს სკოლაში არსებული ინფორმაციის (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით) დამუშავების, შენახვისა და გაცემის სამართლებრივ ასპექტებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლას პერსონალური ინფორმაციის დასაცავად, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი პირი-საქმისმწარმოებელი, რომლის უფლება-მოვალეობები ასახულია სტრუქტურული ერთეულების აღმწერ დოკუმენტში. ასევე, განსაზღვრულია რესურსცენტრის მიერ დანიშნული პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაცულ ადგილას, რომელზეც წვდომა აქვს კონკრეტულ პიროვნებას. ასევე კონკრეტული პიროვნებაა პასუხისმგებელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მართვაზე. პეროსნალური ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირის თანხმობის შემთხვევაში. თითოეული მასწავლებელი და დამრიგებელი იცავს მოსწავლეთა პირადი მონაცემების კონფიდენციალობას. კვლევის პროცესებში, სასკოლო პროექტებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის, ფოტო სურათების გასაჯაროებისათვის მშობელთა თანხმობის შესახებ პუნქტი გაწერილია ხელშეკრულების ფორმაში დანართის სახით;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

### 7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; მასწავლებლები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. სკოლის კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამები. პირადი მონაცემები განთავსებულია eSchool -ის ბაზაში; საქმის წარმოებისთვის გამოიყენება სკოლის იმეილი Schukhuti @mes.gov.ge და Eflow. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლა მონაცემების შეგროვებას და დაცვას ახდენს “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული შესაბამისობით, რაც გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში და შინაგანაწესში.სკოლა იყენებს ყველა მექანიზმს ინფორმაციის დაცვისთვის.მნიშვნელოვანია, რომ სკოლას გააჩნია ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები, რომელიც ძირითადად მოიცავს:

პერსონალური ინფორმაციის დაცვას;
ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას;
დაცული ვებ-გვერდის გამოყენებას;
მშობლებისა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებისთვის. საბჭოს ფორმატში ხდება სასკოლო საზოგადოებისგან მოსაზრებებისა და უკუკავშირის მიღება უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების მრავალმხრივ ანალიზს. წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს ოქმები ადასტურებს, რომ სკოლა პერიოდულად განიხილავს უსაფრთხოების საკითხებს. დაწესებულებას აქვს მზაობა და დაგეგმილი აქვს მონიტორინგის სისტემის შემდგომი განვითარება, რათა მიღებული მონაცემები უფრო სისტემურად იქნას გამოყენებული არსებული მექანიზმების (საზოგადოებრივი წესრიგი, ჰიგიენა, მონაცემთა დაცვა) დასახვეწად. სკოლაში არსებული წესები (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები) ქმნის იმ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ხდება პროცესების შეფასება. აღნიშნული დოკუმენტაცია საფუძველს უყრის უსაფრთხოების პოლიტიკის უწყვეტ გაუმჯობესებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
2. დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;
3. დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;
4. ექიმთან/ექთანთან გაფორმებული ხელშკრულება;
5. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**
**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შუხუთის საჯარო სკოლა მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში. სკოლას ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 22373.00 კვ.მ ფართი, რომელზეც განთავსებულია სამსართულიანი ქვის კაპიტალური შენობა, საქვაბე, სათავსო წყლის ათტონიანი ორი ავზით და გადასატუმბი დანადგარით სახანძრო უსაფრთხოებისათვის; გარდა აღნიშნულისა, სკოლის უკანა ეზოში ამორტიზებული ორი მცირე ზომის შენობაა, რომლებიც ამ ეტაპზე საფრთხის შემცველი არ არის, მაგრამ უფუნქციოა და ექვემდებარება დემონტაჟს; ამის შესახებ სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი შესაბამის ორგანოსთან; სკოლში სარეაბილიტაციო სამუშაოები ფაქტობრივად დასრულებულია, თუმცა არ არის შეტანილი საჭირო ინვენტარი და მოწყობილობები. სკოლაში ვიზიტით დადასტურდა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულებულია მაღალი ხარისხით და შეესაბამება დადგენილ ნორმებს; სკოლის გარეთა ფასადის კედლები დამუშავებული და სრულად შეღებილია, სკოლა გადახურულია თუნუქის სახურავით, დამონტაჟებულია წვიმის სადრენაჟე მილები; სამივე სართულზე განთავსებულია ფართო შემოსასვლელი ფოიე, სადაც იგეგმება მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა, ფართო და ნათელ დერეფნებში დაგებულია იატაკი, რომელიც დამზადებულია მოცურების საწინააღმდეგო მასალისაგან. ყველა დერეფანში ელექტრონულ ტაბლოზე მითითებულია გასასვლელები; საკლასო ოთახები ფართო და ნათელია. სამივე სართული ერთმანეთს უკავშირდება ლიფტით, რომელიც ჩვენი ვიზიტის დროს არ იყო ჩართულ მდგომარეობაში. სკოლაში გამოყოფილია სივრცეები სამედიცინო კაბინეტის, სამასწავლებლოს, კომპიუტერული ლაბორატორიის, ბუფეტის, ბიბლიოთეკის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების (ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ცალ-ცალკე), რესურსოთახის მოსაწყობად. მესამე სართულზე განთავსებულია საკმაოდ დიდი ფართის სააქტო დარბაზი სცენით, დარბაზთან ახლოს არის სახანძრო კიბე; სკოლის სპორტდარბაზი სრულად რეაბილიტირებულია, ჭერში და ფანჯრებზე დამონტაჟებულია დამცავი ბადეები, არის კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ბადე, დარბაზთან ახლოს არის გასახდელები ცალ-ცალკე ბიჭებისა და გოგონებისათვის. სამივე სართულზე განთავსებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საპირფარეშოები, მათ შორის ადაპტირებული, ცივი და ცხელი წყლის ონკანებით; სკოლას აკრავს საკმაოდ დიდი

ზომის ეზო მწვანე ნარგავებით; წინა ეზოში მდებარეობს მინისტადიონი, რომელიც შემოსაზღვრულია მაღალი ბარიერით, დაგებულია ხელოვნური საფარი, დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები; სპორტული დარბაზის ქვემოთ სკოლას აქვს საკმაოდ დიდი ფართის მაღალი სარდაფი, სადაც სამომავლოდ გეგმავენ მაგიდის ჩოგბურთის შემსწავლელი სექციის განთავსებას; სკოლის წინა ეზოში დგას შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელსაც უტარდება რესტავრაცია; წინა ეზოდან სკოლის ფოიეში შესასვლელ კიბეზე დამონტაჟებულია პანდუსი. სკოლას უკანა მხრიდან აკრავს საკმაოდ დიდი ზომის ნაკვეთი, სადაც სამომავლოდ გეგმავენ რაგბის მოედნისა და მწვანე ზონის შექმნას.

მიუხადავად გაწეული მასშტაბური სამუშაოებისა, სკოლა ამ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს შესაბამისი ინვენტარის არარსებობის გამო ( სკოლას არ გააჩნია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო მერხი, სკამი, დაფა, მასწავლებლის მაგიდა და სხვა აუცილებელი ავეჯი). სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში, რომ აღნიშნულ ვადებში (22.05.2026-30.04.2027) **უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

**ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

რეაბილიტირებული სკოლის ინფრასრუქტურული მოწყობა, ასევე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და სკოლაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება გვიდასტურებს, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და არსებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე სასკოლო ბიბლიოთეკის მოსაწყობად, ცალ-ცალკე იქნება სამკითხველო დარბაზი და წიგნების საცავი. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და გაწერილი აქვს ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები. . ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი არეგულირებს ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური თუ ელექტრონული რესურსების აღრიცხვა/დამუშავებს,, სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ საბიბლიოთეკო სერვისისა და მასში განთავსებული ლიტერატურის გამოყენების ხელმისაწვდომობას. თუმცა, ამ ეტაპზე, რეაბილიტირებულ სკოლაში ბიბლიოთეკა არ ფუნქციონირებს, არ არის განთავსებული შესაბამისი ავეჯი და ინვენტარი, არ არის შექმნილი წიგნადი ფონდის ჩამონათვალი; აღსანიშნავია რომ სკოლას საქართველოს ბანკთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი, რომლის ფარგლებში ბანკი იღებს ვალდებულებას სასკოლო ბიბლიოთეკა აღჭურვოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარითა და შექმნას მდიდარი წიგნადი ფონდი; სკოლამ წარმოადგინა

შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სივრცის სრული კეთილმოწყობა კანონმდებლობით განსაზღვრული სერვისების მისაწოდებლად:

**ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია**

### 4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ყველა პირობას სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. წინა ეზოდან სკოლის ფოიეში შესასვლელ კიბეზე დამონტაჟებულია პანდუსი, შენობის სამივე სართული ერთმანეთს უკავშირდება ლიფტით, რომელიც ჩვენი ვიზიტისათვის არ იყო ჩართულ მდგომარეობაში; ყველა სართულზე არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ადაპტირებული სველი წერტილი ცივი და ცხელი წყლის სისტემით. რეაბილიტირებულ სკოლაში გამოყოფილია საკამოდ დიდი სივრცე რესურს-ოთახის მოსაწყობად. მასპინძელ სკოლაში ფუნქციონირებს რესურს-ოთახი შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით. სკოლაში ამჟამად სწავლობს 7 სსსმ მოსწავლე, რომელთაგან 2 მოსწავლე შინ სწავლებაზეა; მოსწავლეთა განვითარებაზე ზრუნავს ერთი სპეცმასწავლებელი. ის საგნის მასწავლებლებთან კოორდინაციით შეიმუშავებს და ახორციელებს მოსწავლეებთან მუშაობის გეგმებს, ასევე, საგნის მასწავლებლებს უწევს კონსულტაციას ისგ-გეგმების შემუშავებაში; სკოლას ჰყავს, ასევე, დამხმარე ასისტენტი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილება და ხელმისაწვდომობა კურიკულუმით განსაზღვრულ ან/და სხვადასხვა აქტივობის შესაბამის სივრცეებთან არ არის უზრუნველყოფილი სართულების დამაკავშირებელი ლიფტის ტექნიკური გამართულობის შესახებ დასკვნის არ არსებობის გამო; სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში ( 22.05.2026-15.09.2026), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სართულების დამაკავშირებელი ლიფტის ტექნიკური გამართულობის შესახებ დასკვნის მოპოვება;

**ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია**

### 5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სასკოლო საზოგადოება იმ საზოგადოებისა და თემის ნაწილია, სადაც სკოლა წარმართავს თავის საქმიანობას. შესაბამისად, სწავლა/სწავლების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებასა და თემში არსებული ტენდენციები, ტრადიციები, შეხედულებები, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის მდგრადობას. სკოლა, როგორც სოციო-კულტურული სივრცე, ხელს უწყობს, რომ ყველა წევრმა თავი იგრძნოს ამ სივრცის განუყოფელ ნაწილად; სკოლის ასეთი მიდგომები დადასტურდა მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების დროს; სკოლა განსაკუთრებით გამოირჩევა სპორტული ტრადიციებით: ტარდება შეჯიბრებები

ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში; მიღწეული წარმატებები დადასტურებულია მოპოვებული თასებითა და სიგელებით, რომლებიც გამოფენილია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას. აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის უმნიშვნელოვანესი სპორტული ტრადიციაა შეჯიბრების გამართვა ლელობურთში, დადგენილი წესების მიხედვით; ეს ტრადიცია საუკუნეებს ითვლის და 2019 წელს ლელობურთს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსიც მიენიჭა; ცხადია, სკოლა აქტიურად არის ჩართული ტრადიციული სპორტული შეჯიბრების ორგანიზებისა და პოპულარიზაციის პროცესებში; სამომავლოდ, სკოლა გეგმავს შესაბამისი სპორტული მოედნის მოწყობას, სადაც მოსწავლეები შეისწავლიან ლელობურთისა და თანამედროვე რაგბის თამაშს პროფესიულ დონეზე; ასევე, სკოლას გამოყოფილი აქვს სივრცე მაგიდის ჩოგბურთის შესასწავლად, რომელსაც ექნება წრეობრივი მუშაობის სახე; სკოლას აქვს საკმაოდ დიდი ფართობის ეზო, სადაც გეგმავს მწვანე რეკრეაციული ზონის შექმნას, ასევე, დაანონსებული აქვთ მცირე სანერგე-სასათბურე სივრცის შექმნა; სკოლაში ხორციელდება პროექტები, კონკურსები, ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურადაა ჩართული ყველა საგნობრივი კათედრა; სკოლის გამორჩეულ წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და კლუბური მუშაობები; სკოლაში ფუნქციონირებს ბუნებისმეტყველების აკადემია, ეკოკლუბი, სპორტული კლუბი „ლელო“, სამოქალაქო განათლების კლუბი „ლელო“, უცხოური ენების კლუბი, ტარდება ღონისძიებები, ვორქშოპები, სამეცნიერო პიკნიკები, უცხოური ენების კათედრის მიერ ორგანიზებული იყო სასკოლო ბანაკი, მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ლაშქრობებში, სწავლობენ კარვების გაშლას საველე პირობებში;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მატერიალური რესურსების ფლობის დიკუმენტაცია;
2. ინვენტარიზაციის შედეგები;
3. ბიბლიოთეკის დებულება.
4. განხორციელებული პროექტები
5. კლუბის წესდება;
6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
7. სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება წესი
8. მშობელთა და დამრიგებელთა ხელშეკრულება
9. კათედრის დებულება
10. ბიბლიოთეკის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**
**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერულ და ადმინისტრაციულ სივრცეებში განთავსებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. ამ ეტაპზე სკოლას აქვს მოქმედი 25 კომპიუტერი, აქედან 8 ლეპტოპი და 17 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 15 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით: 3 პროექტორით, 5 პრინტერ-სკანერის აპარატით. რეაბილიტირებულ სკოლაში გამოყოფილია დიდი ნათელი ოთახი კომპიუტერული ლაბორატორიის მოსაწყობად, შემუსავებულია კომპიუტერული ლაბორატოღიით სარგებლობის წესი, სკოლას მოთხოვნა აქვს გაგზავნილი დამატებით კომპიუტერების გადაცემაზე, სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტის ქსელით; რეაბილიტირებულ შენობაში გამოყოფილია სივრცე კომპიუტერული ლაბორატორიის მოსაწყობად, შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და ადგილზე ვიზიტით დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის; გარდა ისტ-ის გაკვეთილებისა, საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხშირად იყენებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი სამუშაოების მოსამზადებლად. მასწავლებლების განმარტებით, სასკოლო ჟურნალის შევსებისა და დოკუმენტაციის წარმოებისთვის, ისე რომ საგაკვეთილო პროცესს ხელი არ შეეშალოს, იყენებენ მასპინძელი სკოლის კომიუტერების ოთახს. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 1.პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
2. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
4. სტრატეგიული განვითარების გეგმა (გაწერილია ციფრული განვითარების პუნქტები);
5. საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები);

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა ეყრდნობა საქმისწარმოების ზოგად ნორმატიულ აქტებს, მაგალითად საქართველოს პრეზიდენტის 1993 წლის ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,საქმის წარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების“ შესახებ. შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების საკუთარი წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

საქმისმწარმოებელი ახდენს გასული და შემოსული კორესპოდენცინციების ელექტრონულ რეგისტრაცია-გენერირებას, ,პერსონალისა და მოსწავლეთა პირად საქმეების, ხელშეკრულებების აღრიცხვას და შენახვას, დოკუმენტების გაცემას არქივისთვის, აქტებისა და კორესპოდენციების აღრიცხვა ხდება წესების დაცვით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება : eflow, eschool, outlook , MS Word, MS Excel. MS Power Point, Teams და Gmail-ელექტრონული ფოსტა, Facebooc -სოციალური ქსელი და სკოლის ვებგვერდი. eflow-ს დახმარებით საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდზე ინფორმაციის განტავსებაზე პასუხისმგებელი პირი არის საქმისმწარმოებელი;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს განათლების სფეროს მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებებთან, უზრუნველყოფს მათგან მიღებულ უკუკავშირზე რეაგირებას და მოთხოვნილი ინფორმაციის ოპერატიულ გაზიარებას, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის კანონშესაბამისად წარმართვას. ანგარიშგების სისტემა მოიცავს როგორც სტატისტიკურ, ისე შინაარსობრივ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ, რაც აუცილებელია გარე მონიტორინგისა და დაწესებულების საქმიანობის შეფასებისთვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საქმისწარმოების წესი;
2. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
3. შემოსული და გასული კორესპონდენციები;
4. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი;

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:
1)სკოლის სტრუქტურა; 2)სკოლის ფილოსოფია; 3)სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;4)სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; 5)მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები.;
გასაჯაროებული ინფორმაციები მაქსიმალურადაა დაცული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონით. სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, teams-ის პლათფორმას, Facebooc-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლის Facebooc-ის გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია). სწავლა-სწავლების პროცესის ამსახველი მასალა ქვეყნდება სკოლის გვერდზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მაქსიმალურად სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ.. ეს ეხება მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობების განხორციელებას, პარტნიორულ ურთიერთობებს, მემორანდუმით გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებას; ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებლობა დირექტორის ბრძანებით დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა არხით (საბჭოები, სოციალური ქსელები, შეხვედრები) მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სკოლის მუშაობის ხარისხის ანალიზისთვის. უკუკავშირის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და მართვის მექანიზმების დახვეწას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა მუდმივი განვითარების რეჟიმშია. სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის ინტეგრირება სკოლის მართვაში აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ნდობას და უზრუნველყოფს საერთო მიზნების გარშემო მხარეთა კონსოლიდაციას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას გააჩნია ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო პლატფორმას ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის; პლატფორმის არსებობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ციფრულ ხელმისაწვდომობასა და დისტანციური კომუნიკაციის შესაძლებლობას. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე (სახელმწიფო ენაზე), რაც სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. ინფორმაციის ენობრივი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს მშობლების, მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების სრულყოფილ ინფორმირებულობას სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეებისა და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ. ვინაიდან სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე, ვებგვერდის შინაარსობრივი მხარე სრულად პასუხობს სწავლების ენის მოთხოვნას. ეს გარემოება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალობასა და სასკოლო კულტურის პოპულარიზაციას ციფრულ სივრცეში. მოქმედი ვებგვერდის მეშვეობით სკოლა ახდენს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და აქტივობების საჯაროობას, რაც ზრდის დაწესებულების ანგარიშვალდებულების ხარისხს. ყველა ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში თუ ეს აუცილებლობით იქნება გამოწვეული, სკოლას აქვს რესურსი საჭირო ინფორმაციის ინგლისურ ენაზე განთავსებისა;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა**

**მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც საზოგადოებას აცნობს სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფიასა და პრიორიტეტებს. საინფორმაციო სივრცეში წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა და საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებები. მშობლებისა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესახებ, რაც ამარტივებს ადმინისტრაციულ მომსახურებასთან წვდომას. პლატფორმა მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებსა და ინფორმაციას მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ. აღნიშნული მონაცემების საჯაროობა ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას. პლატფორმაზე სრულყოფილად არის მითითებული საკონტაქტო მონაცემები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებასა და გარე პირებთან ოპერატიულ კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ საინფორმაციო პლატფორმა დატვირთულია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი კომპონენტით, რაც ხელს უწყობს საზოგადოების სრულფასოვან ინფორმირებულობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის ვებ-გვერდი;
2. მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა;
4. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება. ვაუჩერული დაფინანსებით მიღებული შემოსავლები მიემართება მიზნობრივად, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად. სკოლის სწორად და გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა. ბიუჯეტის დაგეგმვას სკოლა ახდენს რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიკურია. შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება. სკოლას სახელფასო და კომუნალური გადასახადების შემდგომ რჩება მცირე ბიუჯეტური თანხები. ადგილზე ზეპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს მცირე ნაშთს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლაში ფინანსური რესურსების მართვა ეფუძნება კოლეგიურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება სკოლის საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, ხოლო მისი საბოლოო დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ეს პროცესი უზრუნველყოფს ფინანსური გადაწყვეტილებების შესაბამისობას სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან. სკოლის დირექტორი რეგულარულად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მონიტორინგის შედეგების შესახებ. გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენა წარმოადგენს კონტროლის ეფექტურ მექანიზმს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ფინანსური რესურსების ხარჯვის მიზნობრიობა და ეფექტურობა. ფინანსური მართვის მთელი ციკლი (დამტკიცება, ანგარიშგება, მონიტორინგი) სათანადოდ არის დოკუმენტირებული. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები წარმოადგენს იმ მატერიალურ მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს მართვის სისტემის ქმედითობას და ფინანსური პროცესების კანონშესაბამისობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
2. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
3. დაფინანსების ანალიზის შედეგები;
4. სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოქმედებს მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების დაცვას და პრაქტიკაში განხორციელებას. დაწესებულებას გააჩნია დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესის

ორგანიზებას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, დისკრიმინაციის პრევენციას, მოსწავლეთა ქცევის წესებს, ასევე წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების მექანიზმებს. ამავე ჩარჩოში მოქმედებს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმითა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, ასევე განათლების ხელმისაწვდომობის თანასწორობის უზრუნველყოფას. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესებითა და პირობებით. გარდა ამისა, სკოლაში არსებობს შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია თითოეული მოსწავლის უფლებების დაცვის ვალდებულება და უზრუნველყოფს მათ შესაძლებლობას თავისუფლად გამოხატონ მოსაზრებები, წარმოადგინონ ინიციატივები და მონაწილეობა მიიღონ სკოლის ცხოვრებაში კანონით დადგენილი წესით. ასევე მოქმედებს „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, დაცვის მექანიზმებსა და მონიტორინგის პროცედურებს.
სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თვითმმართველობის წარმომადგენლები მონაწილეობენ დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოსა და სამეურვეო საბჭოში, რაც ზრდის მოსწავლეთა როლს სკოლის მმართველობით სტრუქტურებში.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლაში გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განთავსებულია ღია სივრცეში, ხელმისაწვდომია ყველასთვის, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროობას.
მოსწავლის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტები - მათ შორის შინაგანაწესი, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, ასევე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის რეგულაციები ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამასთან, სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინტეგრირებულია შინაგანაწესი, რომლის გაცნობაც დასტურდება ხელმოწერით.
სადამრიგებლო პროგრამის შესაბამისად, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს გააცნოს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულობასა და ერთგვაროვან წესებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო გარემოს.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს. მასში განსაზღვრულია ძირითადი პირობები: თარიღი, ნომერი, ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობის მიმართულებები, მხარეთა

უფლება-მოვალეობები, მოქმედების ვადა, შეწყვეტის პირობები და სხვა დებულებები. შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, რაც უზრუნველყოფს მისი ნორმების სავალდებულო ხასიათს და ერთიან რეგულაციურ ჩარჩოს.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- ვებგვერდი სკოლების პორტალზე;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესებში სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №04/ნ ბრძანებით. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი შიდა დოკუმენტი - „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი", რომელიც კანონმდებლობასთან თანხვედრაში არეგულირებს რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სტატუსის ცვლილებისა და კლასიდან კლასში გადაყვანის პროცედურებს. კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული წესები არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი როგორც სკოლის საზოგადოებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ჩარიცხვა მიმდინარეობს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, დადგენილი პროცედურებისა და ვადების დაცვით, კანონთან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით. მოსწავლეთა მიღების პროცესში სკოლა ითვალისწინებს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები განსაზღვრავს შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მომსახურებებს, მიზნებს, სწავლების ორგანიზების ფორმებსა და სკოლის ზოგად პოლიტიკას.
შესაბამისი დოკუმენტები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი როგორც საინფორმაციო დაფაზე, ასევე ვებგვერდზე.
სკოლა ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ განახლებას და იყენებს სოციალურ ქსელს (Facebook) სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისებისა და პროგრამების შესახებ არის გამჭვირვალე და სისტემურად განახლებადი. დირექცია და პედაგოგები მუდმივად აწვდიან საზოგადოებას ინფორმაციას როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს, ობიექტურობას და დროულ მიწოდებას.
ინფორმაცია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და სოციალურ ქსელში (Facebook), ასევე მშობლებთან ეწყობა რეგულარული შეხვედრები.
სკოლა და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხების გაცნობას. სკოლა ზრუნავს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს სწორი, თანაბრად ხელმისაწვდომი და არ შეიცავდეს დისკრიმინაციულ შინაარსს.
ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებლობა დირექტორის ბრძანებით დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს;

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- დაწესებულების გვერდი სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც წარმოადგენს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ეფექტიან ინტეგრაციას. იგი განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესის ძირითად მექანიზმებსა და პროცედურებს და ვრცელდება მოსწავლეებზე, მათ მშობლებზე და სკოლის პერსონალზე. დოკუმენტი აქცენტს აკეთებს ახალი მოსწავლის სწრაფ სოციალიზაციასა და საჭირო უნარების განვითარებაზე, სადაც გათვალისწინებულია ინდივიდუალური თავისებურებები და სასკოლო მზაობის დონე. პროცესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებლებისა და მშობლების აქტიური და პოზიტიური ჩართულობა.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა გამოხატავს მზაობას, „მოსწავლეთა ადაპტაციის წესის“ შესაბამისად უზრუნველყოს მოსწავლეთა ეფექტიანი ინტეგრაცია სასკოლო გარემოში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება დამრიგებელს. დამრიგებელი უზრუნველყოფს ახალი მოსწავლის კლასში წარდგენას, ხელს უწყობს თანატოლებს შორის კომუნიკაციის დამყარებას და ასევე წარმართავს თანამშრომლობით ურთიერთობას მშობლებთან, მათ შორის ახალი მოსწავლის მშობლის სხვა მშობლებისთვის გაცნობას. დამრიგებლის დებულებით, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში მხარდაჭერა ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებაა. ვიზიტის დროს სკოლაში ახალ გადმოსულ მოსწავლეს შევხვდით, რაც არსებული წესის პრაქტიკაში გამოყენების ნათელი მაგალითი იყო.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მხარდაჭერას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა პროგრესზე და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებაზე. ამ მიზნით სკოლა იყენებს თანამედროვე სწავლების მეთოდებს, უზრუნველყოფს ეფექტურ უკუკავშირს, მათ შორის განმავითარებელ კომენტარებს. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება დამატებითი კონსულტაციები და მხარდაჭერა, მათ შორის აკადემიური სირთულეების დაძლევის მიზნით. სკოლა ასევე რეგულარულად აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რემედიაციის პროგრამის დებულება“ და ასევე განხორციელებული პროგრამა გერმანულ ენასა და მათემატიკაში.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კანონით განსაზღვრული უფლებების რეალიზებას შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერით. პირველკლასელთა რეგისტრაციის პროცესის შესახებ ინფორმაცია დროულად ქვეყნდება საჯარო სივრცეში, რაც მშობლებს აძლევს შესაძლებლობას კანონით დადგენილ ვადებში განახორციელონ რეგისტრაცია.
ამასთან, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ელექტრონული ბაზების დროული და მოწესრიგებული წარმოება. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორი განიხილავს მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების საკითხებს, ხოლო სკოლა საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას უწევს ექსტერნატის გამოცდების ჩატარებას. აღნიშნული ადმინისტრაციული პროცესები ხელს უწყობს განათლების ხელმისაწვდომობისა და უწყვეტობის უზრუნველყოფას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა ხელს უწყობს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების განვითარებას და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით.

დანერგილია ინიციატივების წარდგენის მექანიზმი, რომლის ფარგლებში მოსწავლეებს შეუძლიათ მიმართონ თვითმმართველობას, დამრიგებელს ან დირექციას სხვადასხვა ტიპის იდეებით (სპორტული, კულტურული, შემეცნებითი და სხვ.). ინიციატივები განიხილება თანასწორობის პრინციპით, ხოლო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს მხარდაჭერას არსებული რესურსების ფარგლებში.
სკოლას აქვს საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების გამოცდილება - სკოლაში ფუნქციონირება შემდეგი კლუბები: 1. სპორტული კლუბი (მაგიდის ჩოგბურთი) ,,star" 2. ეკო კლუბი „ეკოერთობა", 3. საბუნებისმეტყველო კლუბი „საბუნებისმეტყველო აკადემია", 4. უცხოური ენის კლუბი „ლელო". ჩამოთვლილ კლუბებს აქვთ თავიანთი წესდება ან დებულება, კლუბში გაწევრიანების განაცხადის ფორმა, სამუშაო გეგმები, კლუბის მუშაობის შეფასების სქემა და განხორციელებული აქტივობები.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა გამოხატავს მზაობას, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" შესაბამისად, სკოლა სისტემურად ითვალისწინებს უკუკავშირს, რომელიც შესაძლებელია ასახულ იქნეს სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანისას. ასევე, კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებისა და გადახედვის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები და არსებული გამოცდილების ანალიზი, რაც ემსახურება საგანმანათლებლო პრაქტიკის გაუმჯობესებას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- საგანმანათლებლო პროექტები;
- არაფორმალური განათლების პროექტები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;
- სკოლაში არსებული კლუბების წესდებები და დებულებები, სამოქმედო გეგმები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook).

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სერვისი ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის და ძირითადად ინტეგრირებულია სადამრიგებლო საათების ფარგლებში, სადაც განიხილება პროფესიის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები. დამრიგებლის დებულების შესაბამისად, დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში და სამომავლო გეგმების ფორმირებაში.
სკოლას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტთან, ხშირია მოსწავლეთა ვიზიტები სასწავლებელში, ასევე მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ და ჩატარებულ კონფერენციებში, ხან მსმენელად, ხანაც მომხსენებლად. სკოლას აქვს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმები. სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრა ჩატარებული აქვთ პროკურატურისა და შს სამინისტროს წარმომადგენლებთან. ასევე ურთიერთობა აქვს პროფესიულ სასწავლებელთან „ჰოროზონტი“ კარიერული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა საჭიროებს უფრო სტრუქტურირებულ დაგეგმვასა და დოკუმენტირებას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების საკითხებზე. პროცესის ორგანიზებას ძირითადად ახორციელებენ დამრიგებლები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავენ და ატარებენ შესაბამის სადამრიგებლო საათებს, ასევე აწყობენ ერთობლივ შეხვედრებს მოსწავლეებთან და მშობლებთან. სკოლა ცდილობს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს სანდო, აქტუალური და პერიოდულად განახლებადი.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის თვითშეფასების შედეგად იკვეთება, რომ დაწესებულება აკვირდება კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების შედეგებს. ასევე, დამრიგებლები სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ საქმიანობის ანგარიშს და აფასებენ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- დამრიგებლის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა.
- მემორანდუმი

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, რომლის საფუძველზეც, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები. სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. სკოლას ჰყავს 7 სსსმ მოსწავლე, მათ შორის 2 შინ სწავლებაზე.
გეგმა მოიცავს საჭიროებების შეფასებას, სტატუსის მინიჭება-მოხსნის პროცედურებს და სწავლის პროცესში არსებული სირთულეების იდენტიფიცირებას. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებასა და განხორციელებას უზრუნველყოფს ისგ ჯგუფი, დაკომპლექტებული დამრიგებლით, საგნის მასწავლებლებით, სპეცმასწავლებლით, სხვა სპეციალისტებითა და მშობლით/კანონიერი წარმომადგენლით.
ისგ ჯგუფი საჭიროებისამებრ იკრიბება, ახორციელებს მონიტორინგს, აფასებს პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში განიხილავს ინდივიდუალურ გეგმაში ცვლილებებს. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური გეგმების შემუშავებასა და მათი განხორციელების მხარდაჭერას. სკოლას აქვს რესურსოთახი შესაბამისი აღჭურვილობით და ერთი სპეციალური მასწავლებელი.
ინკლუზიური განათლების პროცესს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ისგ ჯგუფის მუშაობა, რომელიც ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის თანამშრომლობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი ჯგუფი და წლის ბოლოს ამზადებს შესაბამის ანგარიშს.

სპეციალური მასწავლებელი ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და საგნის მასწავლებლებს აწვდის რეკომენდაციებს, ასევე ერთობლივად ქმნიან ადაპტირებულ და განმავითარებელ რესურსებს (ტექსტები, ბარათები, ვიზუალური და სენსორული მასალები).
სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ქცევაზე სისტემური დაკვირვება და ჩანაწერების ანალიზი, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა განვითარების მიზანმიმართულ მხარდაჭერას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- ინდივიდუალური გეგმები
- ისგ ჯგუფის დოკუმენტაცია

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების მიწოდებას. მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტით მომსახურებით, რომელსაც უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.
სკოლის დირექცია უზრუნველყოფს პროცესის მონიტორინგსა და შესაბამისი ვალდებულებების შესრულების კონტროლს.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების მიწოდებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების მიწოდებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კლუბების წესდებები და დებულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური | ☐ შეესაბამება<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური | ☐ შეესაბამება<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას კურიკულუმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-2 განსაზღვრულია პრინციპი, რომლის თანახმად „კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები".
მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღებას.
მეთოდოლოგია, მე-8 მუხლით განსაზღვრავს განვითარების მუდმივ ციკლს, სადაც ვკითხულობთ დირექტორის მოადგილის ფუნქციას: "კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება", რამაც შესაძლოა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების მიერ ინიცირებული წინადადებების ინტეგრაცია კურიკულუმის განვითარების პროცესში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია სისტემურად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სკოლის დირექტორი, კათედრის წევრები, მასწავლებლები და მშობლები. კურიკულუმი მუშავდება თანამშრომლობითი პრინციპით, მეთოლოგიის მე-9 მუხლის თანახმად, კოლეგები რეგულარულად განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, წინა წლების გამოცდილებას და სასწავლო პროცესის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.
მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ მოსწავლეების მიღწევებთან დაკავშირებულ მონაცემებს, რეფლექსიაზე დაფუძნებით გეგმავენ სწავლა-სწავლების პროცესს. კათედრის თავმჯდომარეები ახდენენ ინფორმაციის თავმოყრასა და ანალიზს, დირექცია კი უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებასა და მუდმივ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან.
კურიკულუმი ითვალისწინებს ადგილობრივ კონტექსტსა და სკოლის პრიორიტეტებს.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მეთოდოლოგიურ დოკუმენტზე დაყრდნობით, ასევე, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმზე მუშაობა ხორციელდებოდა კათედრების მჭიდრო თანამშრომლობით, რაც ითვალისწინებს როგორც საგნობრივი ჯგუფების შიგნით, ისე კათედრებს შორის კოორდინირებულ მუშაობას. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, განიხილავდნენ არსებულ პრაქტიკას და ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.
კურიკულუმის პროექტი მზადდება მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით, ხოლო დირექტორისა და კათედრის თავმჯდომარეების კოორდინაციით ხდება პროცესის მართვა. დოკუმენტში მითითებულია, რომ კურიკულუმის სტრუქტურულ ელემენტებში ასახულია მოსწავლეთა საჭიროებები. მეთოდოლოგიის მე-5 მუხლის საფუძველზე: მშობელთა ინფორმირების გზა შეიძლება იყოს კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალით ან სასწავლო პროცესის მართვის სისტემით (LMS) ინფორმაციის გაზიარება, მათთან კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა და სხვა.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კრებების დოკუმენტაციაში, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებში განხილული სასკოლო სასწავლო გეგმით ჩანს, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არსები: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტები, მართვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. საჭირო მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოებს ყველა ჯგუფისთვის. სკოლის ინფორმაციით, კურიკულუმთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის ხორციელდება საინფორმაციო დაფის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიისა და შეხვედრების გზით. ინტერვიუებში პედაგოგებმა დაადსტურეს, რომ ისინი აცნობენ მშობლებს სასწავლო პროცესის ძირითად მიმართულებებს და აქტიურად გეგმავენ ჩართულობის გაზრდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი .

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ შემუშავებული **საბაზო საფეხურის** საბუნებისმეტყველო კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ საშუალო (ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის) კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს/ საკითხთა კლასტერს უკავშირდება. ქიმიის ფიზიკის და ბიოლოგიის კურიკულუმების ჩარჩოებში, აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეების სახით. კურიკულუმის ჩარჩოებში დამატებით ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები.<br>აღსანიშნავია, რომ რიგ ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ სკოლას **ეძლევა რჩევა:** ბიოლოგიის მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში სასურველია გასწორდეს სამიზნე ცნებება - "სტრუქტურა და ფუნქცია"-ს ნაცვლად აისახოს "სტრუქტურა, ფუნქცია". ფიზიკის მე-8 კლასისი კურიკულუმში აისახოს გამოტოვებული მეორე თემის დასახელე "სითბური მოვლენა ", მე-9 კლასიის კურიკულუმში გასწორდეს პირველი თემის დასახელება „თანაბარი და აჩქარებული მოძრაობას" ნაცვლად აისახოს „არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა". ქიმიის მე-8-ე კლასის კურიკულუმში აისახოს გამოტოვებული მეორე თემის დასახელე „ნავთობი და მისი პროდუქტები; ბუნებრივი აირი".<br>სკოლის მიერ შემუშავებული **საშუალო საფეხურის** საბუნებისმეტყველო კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ საშუალო (ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის) კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია |

| | |
|---|---|
| | სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს/ საკითხთა კლასტერს უკავშირდება. ქიმიის ფიზიკის და ბიოლოგიის კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეების სახით. კურიკულუმის ჩარჩოებში დამატებით ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები.<br>აღსანიშნია, რომ რიგ ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ სკოლას **ეძლევა რჩევა:** ბიოლოგიის მე-10 კლასის კურიკულუმში თემა - „უჯრედის გამრავლებაში“ ამოსაღებია სამიზნე ცნება -„ბიომრავალფეროვნება“, მესამე სვეტში-“საკითხი/საკითხთა კლასტერი”, ამოსაღებია სიტყვა-“თემა.”<br>სკოლის მიერ შემუშავებული **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ **ბუნებისმეტყველების** პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია რესურსები, აგრეთვე, კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეების სახით. აღსანიშნია, რომ რიგ კურიკულუმის ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ, **ეძლევა რჩევა:** სასურველია, სკოლის დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში პირველი კალასის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: “სივრცეში ორიენტირების”, “გარემოს დაცვის”, “მოვლენის” ნაცვლად აისახოს - “გეოგრაფიური ობიექტი”, “მდგრადი განვითარება”, “მოვლენა, პროცესი”. მე-2 კლასის კურიკულუმში მკაფიოდ გადანაწილდეს საკითხები სავალდებულო სამი თემის ფარგლებში, აგრეთვე თითოეულ თემაში აისახოს ხუთივე სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით. მე-4 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: “სივრცეში ორიენტირების”, “გარემოს დაცვის”, “მოვლენის” ნაცვლად აისახოს - “გეოგრაფიური ობიექტი”, “მდგრადი განვითარება”, “მოვლენა, პროცესი”; გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები გადანაწილდეს ორი თემის მიხედვით - “დედამიწა” და “ციკლური პროცესები ბუნებაში”.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სკოლაში სწავლება იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის |

| | |
|---|---|
| | ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. საგნობრივი კურიკულუმით, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება,რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | შემუშავებული კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის მეთოდოლოგიას. დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირებაზე. სასწავლო თემები და კომპლექსური შინაარსის დავალებები სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს სხვადასხვა უნარის განვითარებას. კურიკულუმის განვითარების პროცესი არის დინამიკური, რაც დასტურდება პერიოდული რევიზიითა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკასა და ხელოვნებაში სწავლის მიზნები შესაბამისობაშია სტანდარტის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან. თითოეული თემის ფარგლებში დამუშავებულია შედეგებიც და სამიზნე ცნებებიც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თემის ფარგლებში გამოკვეთილი სამიზნე ცნებები, კონტექსტ-მაგალითები, დაგეგმილი დავალებები იძლევა მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებისა და თვითრეალიზების საშუალებას.<br>დაწყებით საფეხურზე, მე-2,3,4,5 კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში, როგორც გასაუბრების დროს გამოიკვეთა, გამორჩენილია სავალდებულო თემატური ბლოკების გრაფა, რის გამოც მივეცი<br>**რჩევა**, რომ კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული იყოს სავალდებულო თემატური ბლოკების გრაფა, რომლის ქვეშ დამუშავდება სარეკომენდაციო თემები. ასევე, შემოქმედებითი დავალებების პირობა/იდეა უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია შემოქმედებითი ბუნების დავალებები, მკაფიოა კავშირი სამიზნე ცნებებსა და სასწავლო საკითხებს შორის, შერჩეული რესურსები, ერთი მხრივ, შეესაბამება მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებს, |

| | |
|---|---|
| | მეორე მხრივ, იძლევა საშუალებას, ხელი შეეწყოს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს უჭირთ საგნობრივი სტანდარტის ტერმინოლოგიით საუბარი, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში თემის ფორმულირება ნაკლებად კონკრეტულია, მოყვანილია რა პარაგრაფი ან ციტატა მხატვრული ნაწარმოებიდან. მასწავლებლებმა შეხვედრაზე საკმაოდ დამაჯერებლად იმსჯელეს, რა მიზნით დაგეგმეს კონკრეტული დავალებები და რა საგნობრივ ცოდნას მიიღებს მოსწავლე მათი საშუალებით. კათედრას აქვს პოტენციალი, სრულყოს კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.<br>**რჩევა:**<br>მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმში მოცემული თემები ძირითადად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებსა და მოთხოვნებს, სასურველია, მასწავლებლებმა პირდაპირ არ გადმოიტანონ პარაგრაფში მოცემული ციტატები ან დასათაურებები, რადგან მსგავსი ფორმულირება ხანდახან ზუსტად არ გამოხატავს სასწავლო თემის შინაარსს. (ეხება სამივე საფეხურს).<br>მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში აისახოს ის დაგეგმილი საგნობრივი თუ სოციალური პროექტები, რომელთა იდეებიც პედაგოგებმა გაგვაცნეს. მიზანშეწონილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სახელმწიფო ენის კათედრისთვის პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი, ვებინარი და სხვა) პროექტების დაგეგმვა-განხორციელებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში. (ეხება სამივე საფეხურს).<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. მათში წარმოდგენილი საკითხები და ქვესაკითხები სრულად მოიცავს სასწავლო თემატიკას და უზრუნველყოფს გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე ორიენტირებულ სწავლებას. კურიკულუმი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით შექმნას ახალი ცოდნა და სხვადასხვა საკითხს შორის არსებითი კავშირები გაავლოს. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ხოლო |

| | |
|---|---|
| | დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით ხელს უწყობს მისი პიროვნული განვითარების მხარდაჭერას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასისებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდატებს).<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმი აშკარად ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მიდგომას და წარმოადგენს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სისტემური განვითარების ეფექტიან ინსტრუმენტს. კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ და თანაბარ სასწავლო გარემოს. გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები, აქტიური და პრაქტიკაზე ორიენტირებული მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის გააზრებას, ისე მისი პრაქტიკაში გამოყენებას.<br>სასწავლო აქტივობები და დავალებები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი, რათა ხელი შეუწყოს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და ციფრული კომპეტენციების განვითარებას. კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგსა და დროულ უკუკავშირს. მთლიანობაში, კურიკულუმი ქმნის განვითარებაზე ორიენტირებულ, მოქნილ და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასკოლო კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს დაგეგმვასა და განვითარებას. მისი მიზანია სწავლების ორგანიზება თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ და მიზანმიმართულ გადაცემას.<br>კურიკულუმი ასევე ქმნის შესაძლებლობას, რომ მრავალფეროვანი თემებისა და შემაჯამებელი დავალებების საშუალებით მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა და განივითაროს სხვადასხვა უნარი. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს აქტიურ და ჩართულ გარემოს, რაც ზრდის მოტივაციას და აუმჯობესებს სწავლის შედეგებს. ამასთან, იგი პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

**2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ **ბუნებისმეტყველების** პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია რესურსები, აგრეთვე, კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეების სახით. აღსანიშნია, რომ რიგ კურიკულუმის ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ, **ეძლევა რჩევა:** სასურველია, სკოლის დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში პირველი კალასის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: "სივრცეში ორიენტირების", "გარემოს დაცვის", "მოვლენის" ნაცვლად აისახოს - "გეოგრაფიური ობიექტი", "მდგრადი განვითარება", "მოვლენა, პროცესი". მე-2 კლასის კურიკულუმში მკაფიოდ გადანაწილდეს საკითხები სავალდებულო სამი თემის ფარგლებში, აგრეთვე თითოეულ თემაში აისახოს ხუთივე სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით. მე-4 კლასის კურიკულუმში გასწორდეს სამიზნე ცნებები: "სივრცეში ორიენტირების", "გარემოს დაცვის", "მოვლენის" ნაცვლად აისახოს - "გეოგრაფიური ობიექტი", "მდგრადი განვითარება", "მოვლენა, პროცესი"; გასწორდეს სავალდებულო თემების რაოდენობა და დასახელება, კერძოდ, კურიკულუმის საკითხები გადანაწილდეს ორი თემის მიხედვით - "დედამიწა" და "ციკლური პროცესები ბუნებაში".<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**<br>სკოლის მიერ **საბაზო და საშუალო საფეხურების** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი **საბუნებისმეტყველო** (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებების საგნების (ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის) საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**<br>სკოლის მიერ **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი **ბუნებისმეტყველების** პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ |

| | |
|---|---|
| | მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სკოლაში სწავლება იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ წარმოდგენილ მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიულუმების ჩარჩოებში, თემის ფარგლებში მოცემულია საკითხები, გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალქეობის კურიკულუმით, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგგმვის შესაძლებლობას.<br>**რჩევა:** სასურველია, საგან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოებში დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; ასევე განისაზღვროს და დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებების ქვეცნებები. ცნებები და ქვეცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითებების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზი ცხადყოფს მის თავსებადობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. დოკუმენტში არის გაწერილი კავშირი სასწავლო თემებსა და განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს შორის. თითოეული კლასის კურიკულუმი ორიენტირებულია საფეხურებრივი შედეგების მიღწევაზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის თანამიმდევრულ განვითარებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | ხელოვნებისა და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს (შედარებითი ანალიზი, მხატვრული ანალიზი, მაკეტი, ბუკლეტი, პოსტერი და სხვ.), რომელთა საშუალებითაც ისინი ადასტურებენ ცოდნას და შემოქმედებით უნარებს სხვადასხვა თემასთან მიმართებაში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები, ძირითადი ქვეცნებები, სავალდებულო თუ სარეკომენდაციო თემები. გრძელვადიანი მიზნებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ლიტერატურის გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. შემოქმედებითი ბუნების დავალებები, საგანთა ინტეგრირება (მაგალითად, ქართული ლიტერატურა და ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება), რისი გამოცდილებაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ზეპირი რეფლექსიით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა რამდენიმე წელია, სხვა სკოლის შენობაში ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას, მასწავლებლები მუშაობენ არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. აქვთ სამკითხველო კლუბი, სადაც სამივე საფეხურის მოსწავლეები იკრიბებიან და საუბრობენ წაკითხულ წიგნებზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმი თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. მასში სრულად არის ასახული ესგ-ით განსაზღვრული საკითხები და შესაბამისი საფეხურის მისაღწევი შედეგები. შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებების მრავალფეროვანი იდეები.<br>კურიკულუმები მოიცავს თემებს, დავალებებს, დამატებით რესურსებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, ისე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. თუმცა ზოგ შემთხვევაში არაა დაცული თემებისა და საკითხების შესაბამისობა.<br>სასურველია: კურიკულუმები შემუშავდეს მესამე თაობის ესგ-ის შესაბამისად, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისობა სავალდებულო თემებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს შორის. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით შემუშავდეს დაწყებითი საფეხურის (V, VI კლასები), საბაზო საფეხურის (VII, VIII, კლასები) კურიკულუმები — IV და IX კლასების კურიკულუმების ანალოგიურად. ასევე შესაძლებელია, ნიმუშების სახით, გამოყენებულ იქნას math.ge-ზე განთავსებული კურიკულუმები.<br>დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში (V; VI; VII; VIII კლასები) ყველგან წარმოდგენილი იყოს სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმი მკაფიოდ არის ორიენტირებული საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ მიზნებზე და სრულად ასახავს მათ შინაარსობრივ და კომპეტენციურ ჩარჩოს. სასწავლო მიზნები, შედეგები და აქტივობები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების თანმიმდევრულ განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული კომპეტენციების, კრიტიკული აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების ფორმირებას, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტებთან.<br>კურიკულუმი უზრუნველყოფს მიზნებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც თითოეული აქტივობა და შეფასების კომპონენტი ემსახურება განსაზღვრული შედეგების მიღწევას და მოსწავლეთა პროგრესის ეფექტიან მხარდაჭერას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმები დაწყებითი საფეხურის (I-IVკლ) სახელმწიფო ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს.<br>კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან. მათში მკაფიოდ არის გაწერილი კავშირი თემებს, საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის. კურიკულუმებით დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და ნებელობა. სკოლამ გაითვალისწინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რჩევა და სრულყო კურიკულუმები. მაგ: I კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმში გამორჩენილი იყო ცნება „წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“, თუმცა, ამავე კურიკულუმით დასტურდებოდა, რომ ის მუშავდებოდა შესაბამისი აქტივობებით დავლების ფარგლებში.<br>**რჩევა**:<br>სასურველია, ა) გადაიხედოს 1-ლი კლასის ქართული ენის კურიკულუმი და გათვალისწინებულ იქნას სტანდარტთან შესაბამისობა, კერძოდ, მხოლოდ წინასაანბანო პერიოდში დამუშვდეს ცნება - წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა, ხოლო საანბანო პერიოდში - დეკოდირება-კოდირება.<br>ბ) მე-2 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ცხრილის იმგვარად ორგანიზება, რომ ნათლად ჩანდეს რომელი ძირითადი თემის ფარგლებში რა შესასწავლი საკითხები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები მოიაზრება.<br>გ) სასურველია, მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში, თემების ველში დარჩეს მხოლოდ 2 სავალდებულო თემა.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის |

| | |
|---|---|
| | მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები **ასახულია საბაზო და საშუალო საფეხურების** ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ცდები და ექსპერიმენტები.<br>ამიტომ სკოლას **ეძლევა რჩევა:** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურების ბიოლოგიის, ქიმიის კლასების კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ, რეალური ან/და, ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განსაზღვრონ დასახელება, მითი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო საშინაო და სხვა) და ნუმერაცია.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია **დაწყებითი საფეხურის** საგანმათლებლო პროგრამის ბუნებისმეტყველების საგნის ყველა კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, **დაწყებითი საფეხურის** ბუნებისმეტყველების საგნის სწავლება შეუძლებელია მარტივი ცდების გარეშე, ამიტომ კურიკულუმის ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ უნდა აისახოც მარტივი ცდები ან/და ექსპერიმენტები<br>ამიტომ სკოლას **ეძლევა რჩევა**: სასურველია, სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნის ყველა კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური მარტივი ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო და სხვა) და ნუმერაცია.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლ რესურსი. კურიკულუმების ჩარჩობში წარმოდგენილია ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებითი-ელექტრონული რესურსები, რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსით, რაც ქმნის მყარ საფუძველს სწავლის შედეგების მისაღწევად. ძირითად |

| | |
|---|---|
| | სახელმძღვანელოებთან ერთად, აქტიურად გამოიყენება ციფრული და მატერიალური რესურსები (საგანმანათლებლო პლატფორმები, ვიდეო მასალები, თვალსაჩინოებები).<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად, მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ მათ საჭიროებაზე მორგებულ მრავალფეროვან რესურსებსა და სასწავლო მასალას, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, მასწავლებლებს საშუალებას აძლევს გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზონ. აღნიშნული მოსწავლეებში ცოდნის განმტკიცებას, სხვადასხვა უნარების განვითარებას და სწავლისადმი მოტივაციის შენარჩუნებას უწყობს ხელს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ძირითად რესურსად მიჩნეულია გრიფირებული სახელმძღვანელო, თუმცა სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო ტექსტების გარდა, შერჩეულია თემასთან დაკავშირებული არასავალდებულო ლიტერატურა. მონიშნულია ისეთი წერილები, ისტორიული ნარკვევები თუ დოკუმენტური ფილმები, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება ლიტერატურული და ისტორიული პროცესის დაკავშირებასა და სათანადო დასკვნების შემუშავებაში.<br>**რჩევა საშუალო საფეხურისთვის:**<br>სასურველია, უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს, საშუალო საფეხურის კურიკულუმში, განსაკუთრებით მე-10 კლასში, გარდა სავალდებულო თემებისა და ტექსტებისა, რომელი ჟანრის დამატებით ტექსტებს და რა რაოდენობით ეცნობიან მოსწავლეები, რა პრინციპით და მიზნით არჩევს მათ კათედრა.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე იკვეთება, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო რესურსების მიზნობრივ შერჩევას. კურიკულუმში ასახული და კათედრაზე შეთანხმებული როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრებას და მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**<br>**რჩევა:** სასურველია შემოქმედებითი დავალებების განხორციელებისას გამოყენებულ იქნას უფრო მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (III; V – VIII; X კლასები). შესაძლებელია Math.ge - ზე განთავსებული რესურსების გამოყენება. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები მრავალფეროვანია და სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ შედეგებზე ორიენტირებულ მოთხოვნებს. გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები (ციფრული პლატფორმები, პრაქტიკული დავალებები, ვიზუალური და ინტერაქტიული მასალები) მიზნობრივად არის შერჩეული და პირდაპირ უკავშირდება სასწავლო მიზნებსა და შედეგებს.<br>რესურსები უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის გააზრებას, ისე მისი პრაქტიკაში გამოყენებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების სწავლების პროცესში. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელ მუშაობას და ციფრული კომპეტენციების განვითარებას. მთლიანობაში, რესურსები ეფექტიანად უწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები – სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული საშუალებები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას.<br>აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები მათ აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება როგორც აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, ისე სოციალური უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

## 4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებზე. **საბაზო და საშუალო საფეხურების** საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები, შესაბამისად დაგეგმონ საგაკვეთილო პროცესი და მოარგონ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, თუმცა ასეთი მკაფიო ტენდენცია არ იკვეთება შემაჯამებელი დავალებების მიმართ, შემოქმედებითი ბუნების დავალებების შექმნისას, ამიტომ სკოლას **ეძლევა რჩევა:** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას **დაწყებით საფეხურზე** სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები.<br>საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ახორციელებენ არატიპიური მოსწავლეების სწავლებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.<br>აღსანიშნია ის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების დავალებები და შემაჯამებელი დავალებებში, არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ, ამიტომ სკოლას **ეძლევა რჩევა:** სასურველია, სკოლის დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნის შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. გარდა ამისა, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალქეობის პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და |

| | |
|---|---|
| | ასევე დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. შესაბამისად, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების - კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, დიფერენცირებული სწავლების მაგალითებით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს. სკოლა უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ხარისხიან განათლებაზე ყველა მოსწავლისთვის, მათი ინდივიდუალური საჭიროებების მიუხედავად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისთვის შემუშავებულია და მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ), რომლებიც სრულად შეესაბამება მათ შესაძლებლობებსა და კურიკულუმის მიზნებს. მოსწავლეების საჭიროების განსაზღვრა ხდება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და ინლუზიური სწავლების პრინციპების გათვალისწინების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევა მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების საფუძველზე; ბ) არჩევანის შეთავაზება შემოქმედებითი ბუნების დავალების შესრულებისას. გ) დამატებითი საკითხავი ლიტერატურის შერჩევის პროცესში მოსწავლეების მონაწილეობა.<br>**რჩევა:**<br>დიფერენცირების სტრატეგიებზე საუბრისას კათედრამ უმთავრესად ისაუბრა დავალების პირობის მოდიფიცირების გამოცდილებაზე. სასურველია, კურიკულუმშიც აისახოს, მოსწავლის |

| | |
|---|---|
| | საჭიროებიდან გამომდინარე, დაახლოებით როგორ შეიძლება შეიცვალოს დავალების მოთხოვნები. ასევე, ვურჩევთ, კურიკულუმში ყურადღება გამახვილდეს არა მარტო საბოლოო დავალების პირობის მოდიფიცირებაზე, არამედ საეტაპო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისას გამოყენებული/მოაზრებული დიფერენცირების სტრატეგიებზეც. (ეხება სამივე საფეხურს).<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მოწოდებული დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით ირკვევა, რომ სკოლა სამივე საფეხურზე იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოქნილ სასწავლო გარემოზე, სასწავლო პროცესის ეფექტურ ორგანიზებაზე, მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ პროგრამაზე, ასევე დავალებების მრავალფეროვნებასა და სირთულის განსხვავებულ დონეებზე. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ დიფერენცირების მნიშვნელობა და აქტივობებს გეგმავენ სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისთვის. ისინი მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის შესაძლებლობას ან სთავაზობენ მათ შესაძლებლობებზე მორგებულ დავალებებს. საჭიროების შემთხვევაში ცვლიან და ადაპტირებენ დავალებებს, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის, ამუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ რემედიაციას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის.<br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმშიც შეიტანოთ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე რომლებსაც ახორციელებთ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი აშკარად არის დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. პროცესში გათვალისწინებულია ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის განსხვავებული ტემპი, რაც ქმნის თანაბარ და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს. |

| | |
|---|---|
| | გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, მათ შორის სხვადასხვა სირთულის დავალებები, ალტერნატიული აქტივობები და ინდივიდუალურად მორგებული რესურსები. მასწავლებელი ეფექტიანად იყენებს მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის პროგრესს და მათ მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.<br>სასწავლო გარემო ხელს უწყობს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და მოსწავლეთა უნარების სრულფასოვან განვითარებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა დამაკმაყოფილებელ დონეზე უზრუნველყოფს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებას სასწავლო პროცესში. ნათლად ჩანს მცდელობა, რომ სწავლა-სწავლება ორგანიზებული იყოს თითოეული მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და მეთოდებს, რათა უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა, სკოლას I-IV კლასებში ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილია ისგ თითოეული მათგანისათვის შესაბამის საგნებში. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მიმდინარეობს მონიტორინგი განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების შესაფასებლად, ახალი საჭიროებების დასადგენად. თუმცა, დოკუმენტებით არ დასტურდება მიმდინარე მონიტორინგი და შუალედური მიზნების მიღწევის აღრიცხვა.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება როგორც დიფერენცირებული, ისე ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სასწავლო გარემო ხელს უწყობს ინკლუზიურობის პრინციპების დაცვას და ყველა მოსწავლის მხარდაჭერას.<br>დოკუმენტაციის შესწავლისას და ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებისას დგინდება, რომ მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ რემედიაციას. მაგ. მე-4 კლასში ქართულ ენაში სწავლის შედეგებზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ ორ მოსწავლეს განსაკუთრებით უჭირდა წერილობით ნამუშევარში აზრების თანმიმდევრულად გადმოცემა, რისთვისაც მასწავლებელმა შეაგინა ორ თვეზე გაწერილი გეგმა და მასზე დაყრდნობით განახორციელა დამატებითი მუშაობა მოსწავლეებთან. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ეს ჩარევა იყო შედეგიანი და მოსწავლეებმა დაძლიეს ჩამორჩენა სტანდარტებთან მიმართებით.<br>**რჩევა:** სასურველია სკოლამ სისტემატურად აწარმოოს მონიტორინგი როგორც ისგ-ს გრძელვადიანი/მოკლევადიანი მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით, ისე რემედიაციული სამუშაოების განხორციელებისას და მიღწეული შედეგები აღრიცხოს დოკუმენტურად.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

**5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის **საბაზო და საშუალო საფეხურების** საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის მე-7 მუხლით გასაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. პედაგოგები შეფასებისას იყენებენ ანალიტიკურ რუბრიკებს, მოლოდინების ცხრილის რუბრიკებს, თუმცა არასრულად წარმოადგინილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები თემების მიხედვით, ამიტომ სკოლას **ეძლევა რჩევა:**<br>სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მოამზადონ საბუნებისმეტყველო (ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის) საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული *განმავითარებელი* შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალებება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;<br>სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურების - ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებისათვის შექმნან შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე.<br>**დაწყებით საფეხურზე** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის - „სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური და ადმინისტრაციული საკითხების" მე-7 მუხლით გასაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>პედაგოგები დიაგნოსტიკური შეფასების გარდა, უმეტესად იყენებენ ანალიტიკურ რუბრიკებს, რომლებიც არ არის მიმართული საფეხურის სამიზნე ცნებებისაკენ ამიტომ, სკოლას **ეძლევა რჩევა:**<br>სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან/ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული *განმავითარებელი* შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი-კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალებება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით ნაწილობრივ მე-2 სემესტრის მე-5 და მე-6 კლასებისათვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; |

| | |
|---|---|
| | დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისთვის შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნის სამიზნე ცნებებზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა წარმოადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისა რუბრიკები, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიას, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მიმართულებით. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინა შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები შესაბამისაობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან;<br>**რჩევა:** სასურველია, საგან „ჩვენ საქართველოში" წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უფრო კონკრეტულად იყოს მორგებული დავალებების ტიპზე და მიზნებზე, პასუხობდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებდეს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან.ასევე შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილ იქნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | დაწესებულებაში მოქმედი მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე და არა მხოლოდ აკადემიური მიღწევის ფიქსაციაზე. შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება ესგ-ის სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს.<br>**რჩევა:** სასურველია კათედრამ შეფასების შედეგები გამოიყენოს სასწავლო პროცესის შემდგომი დაგეგმვისა და დიფერენცირებისთვის, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მუდმივ განვითარებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვერლი კომპონენტების სახით. გასაუბრების დროს კათედრამ ანიშნა, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების ფორმების დახვეწაზე. სასურველია, დაწყებით საფეხურზე მოსწავლის |

| | |
|---|---|
| | შეფასების სისტემა შეესაბამისობაში მოვიდეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი, ორიენტირებული იყოს სამიზნე ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზნობრივ, სტრუქტურულ და შედეგზე ორიენტირებულ მართვას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიმართება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მიზნებთან ჩანს კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში. რუბრიკებში, მცირე ხარვეზებით, მაგრამ მაინც თვალსაჩინოა დავალების მოთხოვნების კავშირი საგნობრივი სტანდარტის შედეგებსა და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. მოთხოვნები მეტწილად მოსწავლისთვის გასაგები ენითაა ჩამოყალიბებული, მკაფიოდ იკითხება, რა ცოდნა უნდა წარმოაჩინოს მან. მასწავლებლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ თეორიულად ესმით, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების რუბრიკა, თუმცა პრაქტიკაში მეტი გამოცდილება ესაჭიროებათ, რათა განახლებული სტანდარტის დეტალებში სრულყოფილად გაერკვნენ. გასაუბრებისას, კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, კათედრამ დაადასტურა, რომ შეუძლია გამოკვეთოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები და გასცეს შესაბამისი უკუკავშირი.<br>**რჩევა დაწყებითი საფეხურისთვის:**<br>შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის დავალების მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი სიტყვებით. სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ერთ-ერთ ველში გადმოიტანოთ სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს, რომელ გრძელვადიან მიზნებზე გადის მოსწავლე კონკრეტული დავალების საშუალებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება „სწავლის სწავლაზე“. ეფექტური სწავლება მიმართულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. მასწავლებლების განმარტებით, შეფასება მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმაში, რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ, როგორ გააუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები. სამივე საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი, |

| | |
|---|---|
| | ასევე განმსაზღვრელი შეფასება (განმსაზღვრელი შეფასება დაწყებით საფეხურზე გამოიყენება V კლასის მეორე სემესტრიდან და VI კლასში), რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოიცავს გრძელვადიან მიზნებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ორივე ტიპის რუბრიკის ნიმუშები. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ მათ კარგად ესმით შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მნიშვნელობა და ფლობენ სხვადასხვა შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით გამოყენებული შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან. შეფასება არის სისტემური, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების ობიექტურ განსაზღვრას.<br>გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და დროულ, კონსტრუქციულ უკუკავშირს. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ არის განსაზღვრული და წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის, რაც ზრდის მათ ჩართულობასა და პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ.<br>სისტემა ეფექტიანად უზრუნველყოფს არა მხოლოდ მიღწეული შედეგების შეფასებას, არამედ სწავლის პროცესის გაუმჯობესებასა და თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ მხარდაჭერას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც თემისა და საკითხის გააზრებას, ისე სხვადასხვა უნარის შეფასებას, რაც შეესაბამება მრავალმხრივი შეფასების თანამედროვე მოთხოვნებსა და მიდგომებს.<br>აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ წინასწარ გაწერილ კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ვალიდურობას. ამასთან, სკოლა სისტემატურად აანალიზებს შეფასების შედეგებს. პრაქტიკაში გამოიყენება სტანდარტის შედეგებზე მორგებული განმავითარებელი შეფასების ფორმები, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ: |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლებს შეუძლიათ შეიმუშაონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რათა მათი საშუალებით დადასტურდეს სასწავლო მასალის ათვისების შესაბამისობა ესგ-ის პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალებები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების გეგმა და რეფლექსია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- საგნობრივ კათედრებზე განხორციელებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი **სკოლის საბაზო და საშუალო** საფეხურების პროგრამებში  საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიუდან და დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად ირკვევა, რომ შუხუთის სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები „საბუნებისმეტყველო აკადემია“ და ეკო-კლუბი „ეკოერთობა“, არაფორმალური გაერთიანებების მიზანია საბუნებისმეტყველო მიმართულების ინტერესის გაზრდა, მოსწავლეთა კვლევის, დისკუსიის უნარების გამოვლენა, მიღებული ცოდნის ადაპტირება ყოფა-ცხოვრებაში და ბუნებისადმი სიყვარულის ჩამოყალიბება.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ისინი მიჰყვებიან საგნობრივ კურიკულუმებს დ ასევე ასახავენ ცვლილებებს, რომლებიც იკვეთება მუშაობის პროცესში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | შესწავლილი კურიკულუმები, მოსწავლეთა ნამუშევრები და პედაგოგებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ მასწავლებლები მიყვებიან კურიკულუმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურადაა დაკავშირებული საკვანძო კითხვებთან და ორიენტირებულია კომპლექსური შინაარსის დავალებების შესრულებაზე. სკოლა იყენებს კურიკულუმს, როგორც სამუშაო დოკუმენტს, რაც საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი იყოს თანმიმდევრული და ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტების ვიდეო და ფოტო მასალებით, სადაც ასახულია კომპექსური დვალებების, პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები. აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | მოცემულ ეტაპზე კათედრას აქვს საფუძვლიანი მონახაზი იმისა, თუ როგორ წარმოუდგენია სასწავლო პროცესის წარმართვა. დავალებების გარკვეული ნაწილი ეფუძნება წინარე გამოცდილებას, მაგრამ უმეტესობა ახალია. შესაბამისად, კათედრა აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, კურიკულუმში გარკვეული ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმებისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები, ასევე შემოქმედებითი ტიპის დავალებები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეებში ინტერესს აღძრავს და მათ საშუალებას აძლევს, ნაცნობ კონტექსტზე და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აითვისონ ახალი ინფორმაცია. მასწავლებლების განცხადებით, |

| | |
|---|---|
| | სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით შესაძლებელია კურიკულუმში გარკვეული ცვლილებების შეტანა.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი მკაფიოდ არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგაკვეთილო გეგმები, სასწავლო მიზნები, აქტივობები და შეფასების კომპონენტები ლოგიკურად გამომდინარეობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგებიდან, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას.<br>გაკვეთილები სტრუქტურირებულია ისე, რომ თითოეული ეტაპი ემსახურება კონკრეტული სასწავლო მიზნის მიღწევას, გამოყენებულია შესაბამისი რესურსები და მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია დაგეგმილ შინაარსთან. მასწავლებელი ეფექტიანად ახორციელებს დაგეგმილ პროცესს, ინარჩუნებს ლოგიკურ თანმიმდევრობას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროცესის ადაპტირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.<br>აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას და მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირებულ განვითარებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში წარმოდგენილ თემებს, შემაჯამებელი დავალებების იდეებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს.<br>სასწავლო ერთეულების დამუშავება წარიმართება კურიკულუმებში განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. ამასთან, სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შეესაბამება პრაქტიკულ სწავლებას, არამედ წარმოადგენს სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლა მოქნილად რეაგირებს როგორც თანამშრომლების, ისე მოსწავლეების მრავალფეროვან საჭიროებებზე. სკოლაში დანერგილია პროცესები, რომლებიც ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს საგაკვეთილო პროცესის უწყვეტობაზე, საჭიროებისამებრ იყენებს ჩამნაცვლებელ მასწავლებელს, ზრუნავს სასკოლო კალენდრის დაგეგმვაზე და მართვაზე.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის საბაზო საფეხურის პროგრამაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br>სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების, მიზანის და ამოცანების, პრინციპების, მიმართულებების, შეფასების სისტემის, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირების და განხორციელების სიხშირის შესახებ.<br>სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის პროცესი, რომელიც აღწერილია „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის" დოკუმენტში. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის მე-2 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის ვერიფიკაციის დასკვნა ცხრილის სახით, სადაც ასახულია განმავითარებელი შეფასების ვერიფიკაციის პროცედურა. სკოლას **ეძლევა რჩევა:** სასურველია, სკოლის „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის" დოკუმენტის სრულყოფილების მიზნით გაჩნდეს ჩანაწერი ვერიფიკაციის დასკვნის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება უნიფიცირებული (ერთიანი) დასკვნის ფორმა (დანართის სახით), ფორმაში მითითებული იქნება დოკუმენტის სათაური, რომელი საგნის და კლასის ვერიფიკაცია განხორციელდება, ვერიფიკატორების სახელები, გვარები და სხვა ინფორმაცია, ამის გარდა აქვე უნდა იყოს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ვერიფიკაციის გადაწყვეტილება იქნება ნაწილობრივი ან შეუსაბამო, ვის დაევალება საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა, ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ, მისი შესრულების მონიტორინგი. სასურველია, ვერიფიკაციის დოკუმენტში იყოს კონკრეტულად ასახული თუ როგორ არის ჩართული სკოლის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, გეგმავს მათ გასაჯაროებას, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლას, ასევე, წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, საიდანაც ჩანს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. ასევე, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გამჭვირვალეა და სტანდარტებზე დაყრდნობითაა აგებული, არის მკაფიოდ მიბმული კონკრეტულ დავალებებზე და მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე. კრიტერიუმები ძირითადად დაკონკრეტებულია და იძლევა სიღრმისეულ ანალიზზე დაფუძნებული შეფასების შესაძლებლობას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | კათედრაზე ჩამოყალიბებულია შეფასების სისტემა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის მოთხოვნებს. შესწავლილი დოკუმენტაცია და პედაგოგებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია და პირდაპირ გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან.<br>სისტემის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს ის გარემოება, რომ დავალების მიცემისთანავე მოსწავლეებს წარედგინებათ შეფასების რუბრიკები, სადაც დეტალურად არის გაწერილი მოლოდინები სხვადასხვა დონისთვის. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან შეფასების პრინციპების შესახებ.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, ამას მოწმობს წარმოდგენილი განსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით, კონკრეტულ თემებზე გაწერილი.<br>ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, რომელიც წინასწარაა შემუშავებული, სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც გააზრებული იქნება შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | შეფასების სისტემა მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, მოთხოვნები ჩამოყალიბებულია მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე, მოსწავლეებსა და მშობლებს აქვთ ინფორმაცია |

| | |
|---|---|
| | იმის შესახებ, თუ რის მიხედვით ფასდება შესრულებული დავალებები. ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია, ყველა საგნობრივი კათედრა ხელმძღვანელობდეს შეფასების ერთი და იმავე პრინციპებით. შეფასების პროცესის ვალიდურობისა და სამართლიანობის განსამტკიცებლად (და დასარწმუნებლად, რომ პროცესი ნამდვილად ძირითადი პრინციპების დაცვით მიმდინარეობს) კათედრა განიხილავს მოსწავლეებთან გამოკითხვის ჩატარების იდეას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასების პროცესი შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მრავალფეროვანი ინსტრუმენტი. მოსწავლეებისთვის ცნობილია, როგორ ფასდება მათი ნამუშევრები და მათ მკაფიოდ აქვთ გააზრებული, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მათი პასუხი, პროდუქტი ან შესრულებული დავალება. კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების სქემები თითოეული დავალებისათვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მიმართ თანაბარ და სამართლიან მიდგომას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით დანერგილი შეფასების სისტემა სრულად აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს და შეესაბამება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შეფასების ინსტრუმენტები და მეთოდები უშუალოდ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებსა და შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას.<br>შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მკაფიოდ გაზიარებულია მოსწავლეებთან, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას. გამოყენებული მიდგომები უზრუნველყოფს ერთგვაროვან და თანმიმდევრულ შეფასებას, რაც ამყარებს სისტემის სანდოობას. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მიღწევებს ობიექტურად, წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას და უზრუნველყოფს სამართლიან გარემოს ყველა მოსწავლისთვის. |

| | |
|---|---|
| | შეფასების პროცესი ასევე ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და უზრუნველყოფს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება მხოლოდ შედეგის დაფიქსირებას არ გულისხმობს და იგი განიხილება როგორც უწყვეტი, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები პირდაპირ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. თითოეული რუბრიკა შეესაბამება კონკრეტული აქტივობის შინაარსსა და მიზანს. მათში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ გაეცნონ შეფასების სტანდარტებს. ამგვარად, შეფასება ეფუძნება განსაზღვრულ მოლოდინებს და ნაკლებად არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე.<br>ვერიფიკაციის დოკუმენტების მიხედვით, მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, რაც კიდევ უფრო ამყარებს შეფასების სისტემის ობიექტურობასა და სანდოობას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

## 4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომლის თანახმადაც სკოლა უზრუნვეყოფს: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას სასკოლო კურიკულუმთან; ბ) კლასის/მოსწავლის მიღწევების ანალიზს; გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენებას მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად; შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებს: 1. კათედრის ხელმძღვანელები (როტაციის პრინციპით) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა - მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი; მათემატიკის კათედრა - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელი; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა - უცხოური ენის კათედრის ხელმძღვანელი; უცხოური ენის კათედრა - ესთეტიკური და სპორტის კათედრის ხელმძღვანელი; ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა - დაწყებითი (I-IV) კლასების ხელმძღვანელი; დაწყებითი (I-IV) კლასების კათედრა - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი. ასევე წესში გაწერილია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების სიხშირე და ის ხორციელდება წელიწადში ერთხელ ყველა საგანში, კლასში არსებული მოსწავლეთა 20%-ის ნამუშევრის მიხედვით.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## 5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების“ დოკუმენტის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას 3 წლის ვადით, როგორც სკოლის არქივში, ისე, ელექტრონულად; ელექტრონული მონაცემები სათანადოდ დაცულია მომხმარებლის პაროლით. ამასთანავე ხდება მოსწავლის პირადი ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შემოქმედებითი ტიპის დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათედრის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პირადი საქმეები;
- ელექტრონული ჟურნალი.

**2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები/ინტერაქტიული სიმულაციები რესურსები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზენტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქიდან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა:**<br>სასურველია, საბაზო_ საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების ბიოლოგიის მე-7 (I, II, III, IV, V თემების ფარგლებში), მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმის ჩარჩოები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით- (მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციებით და სხვა), მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა.<br>სასურველია, საშუალო_ საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების ბიოლოგიის მე-11 და მე-12 კლასების, კურიკულუმის ჩარჩოები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით- (მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციებით და სხვა), მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა.<br>სასურველია, სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში განიხილოს რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი წესი. |

| | |
|---|---|
| | სასურველია, დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლ რესურსი. კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებითი-ელექტრონული რესურსები,რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ გრიფირებული სახელმძღვანელოების კომბინირებას დამხმარე ციფრულ და ვიზუალურ მასალებთან, რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიკურსა და საინტერესოს ხდის.<br>სკოლის მომავალი მატერიალური ბაზა და პედაგოგთა მზაობა იძლევა იმის წინაპირობას, რომ პედაგოგები უფრო მეტი მონდომებით იქნებიან ჩართულნი კურიკულუმის იმპლემენტაციის პროცესში, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება.მიეცათ რჩევა, რომ სასურველია, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა კლასის კურიკულუმში მოხდეს ძირითადი და დამხმარე რესურსების ჩამატება.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ძირითად რესურსად მიჩნეულია გრიფირებული სახელმძღვანელო, თუმცა სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო ტექსტების გარდა, შერჩეულია თემასთან დაკავშირებული არასავალდებულო ლიტერატურა. მონიშნულია ისეთი წერილები, ისტორიული ნარკვევები თუ დოკუმენტური ფილმები, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება ლიტერატურული და ისტორიული პროცესის დაკავშირებასა და სათანადო დასკვნების შემუშავებაში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სასწავლო მიზნების მიღწევისა და მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით სკოლა სამივე საფეხურზე ეფექტურად იყენებს როგორც გრიფირებულ, ისე დამხმარე სახელმძღვანელოებს, ასევე სხვადასხვა ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების შესრულებას და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები სისტემურად და მიზანმიმართულად გამოიყენება სასწავლო პროცესში. რესურსები შერჩეულია სასწავლო მიზნებისა და შედეგების შესაბამისად და უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის გააზრებას, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას. გასაუბრების პროცესში მასწავლებელმა განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩინა, თუ როგორ ახდენს აღნიშნული რესურსების ინტეგრირებას ყოველდღიურ საგაკვეთილო პრაქტიკაში, დეტალურად აღწერა მათი გამოყენების ეტაპები, მიზნობრიობა და კავშირი სასწავლო შედეგებთან. წარმოდგენილი მაგალითები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და აჩვენებდა, რომ რესურსების გამოყენება არა ფორმალურ, არამედ გააზრებულ და შედეგზე ორიენტირებულ პროცესს წარმოადგენს. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ რესურსები ეფექტიანად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და რეალურად უწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს – „კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში“. სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები, ასევე სხვადასხვა ტიპის დამხმარე მასალები.<br>მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ ისე, რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაში. კურიკულუმებით დასტურდება როგორც ვიზუალური, ასევე აუდიო და ციფრული მასალების გამოყენება, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია და შეესაბამება როგორც გაკვეთილის მიზნებს, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს.<br>**რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | სასურველია, ა) 1 კლ. მათემატიკის კურიკულუმის რესურსებად მოცემულ ყველა ვიდეოგაკვეთილს მიეცეს ბმულის ფორმატი.<br>ბ) მე-3 კლასის მათემატიკის კურიკულუმს გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა დაერთოს სხვა დამატებითი რესურსებიც, რომელსაც მასწავლებელი იყენებს თემის/საკითხის შესწავლისას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო და საშუალო პროგრამებისათვის დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება საბუნებისმეტყველო კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.<br>დაწესებულებას **ეძლევა რჩევა:** სასურველია, სკოლამ ან საბუნებისმეტყველო კათედრამ საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებში შეიმუშაოს ვალიდაციის ერთ-ერთი შიდა კონტროლის - გადამოწმების უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და გაუმჯობესება.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. დამხმარე სასწავლო რესურსებს ირჩევს პედაგოგი, კათედრასთან შეთანხმებით,მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით კლასებისა და საგნების მიხედვით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | ვალიდაციის პროცესი ხორციელდება საგნობრივი კათედრების დონეზე, სადაც პედაგოგები წარადგენენ შერჩეულ მასალებს და ხდება მათი შეჯერება სასწავლო მიზნებთან. გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია რესურსების ეფექტიანობის შეფასების პრაქტიკა, რაც გულისხმობს სასწავლო წლის ბოლოს იმ მასალების რევიზიას, რომლებმაც საუკეთესო შედეგი აჩვენა მოსწავლეთა ტიპური შეცდომების დაძლევის პროცესში.<br>**რჩევა:** სასურველია ახალი სასწავლო წლისთვის, უცხოური ენების კათედრამ მოახდინოს შერჩეული დამხმარე რესურსების ვალიდაცია , რომელიც ასახული იქნება კათედრის პირველ ოქმში, დანართის სახით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | დამხმარე სასწავლო რესურსი შერჩეულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან მხარდაჭერილი საგანმანთლებლო პორტალებიდან და სხვადასხვა აკადემიური გამოცემიდან.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. აღნიშნული რესურსები შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის №1 ოქმით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. დამხმარე რესურსები გადის ვალიდაციის პროცესს, რომლის ფარგლებში ფასდება მათი შინაარსობრივი სისწორე, პედაგოგიური შესაბამისობა და გამოყენების ეფექტიანობა.<br>სკოლა სისტემურად აკონტროლებს გამოყენებული რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს მხოლოდ იმ მასალების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რომლებიც რეალურად უწყობს ხელს მოსწავლეთა სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული მიდგომა ქმნის სტანდარტიზებულ და ხარისხზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც რესურსების გამოყენება გააზრებულად და მიზანმიმართულად ხდება.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება განსაზღვრული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან.<br>სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევის პროცესში – მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ ახალ სასწავლო მასალებს და აფასებენ მათ მიზნობრიობას. შერჩევისას |

| | |
|---|---|
| | უპირატესობა ენიჭება იმ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს.<br>**რჩევა:** სასურველია კათედრის ოქმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში უფრო დაკონკრეტდეს დამხმარე რესურსების ჩამონათვალი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების პედაგოგებთან საუბრისას და გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შუხუთის სკოლას აქვს ბიოლოგიის, ქიმიია და ფიზიკის ლაბორატორიებისათვის აქვთ მცირე რაოდენობის აღჭურვილობა, ხელსაწყოები, რითაც შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე სკოლაში არსებობს სადემონსტრაციო პლაკატები, მულაჟები და სხვა ვიზუალური საშუალებები, აგრეთვე მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებენ ვირტუალური ლაბორატორიების საშუალებებს და ვიდეო ექსპერიმენტების ჩანაწერებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა ადგილზე მყოფ ექსპერტებს დაათვალიერებინა რეაბილიტირებული სკოლის შენობა, იქ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის განსაზღვრულია თითო სართულზე ორ-ორი ოთახი - ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საკლასო ლაბორატორიები, სადაც ძირითადი საგანმანათლებლო პროცესი განხორციელდება და მცირე ზომის ოთახი, სადაც საგაკვეთილო პროცესისთვის მოხდება მომზადდება და შეინახება ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის სასწავლო საშუალებები და დიდაქტიკური მასალები, აღჭურვილობა, ხელსაწყოები, რექტივები, ქიმიური ჭურჭელი და სხვა.<br>წარმოდგენილ ფოტომასალებზე დაყრდნობით ჩანს, რომ ორ ოთახში განლაგებულია თითო სველი წერტილი, ხოლო მესამე ოთახის სივრცეში დამონტაჟებულია ონკანები წყლის სარქველებით, შესაბამისი კანალიზაციის სისტემით, რომელიც ესაჭიროება ქიმიური ლაბორატორიას. ამ ოთახში სამწუხაროდ არ არსებობს გამწოვი სისტემა, არც გამწოვი კარადა, თუმცა, გამწოვი სისტემა განლაგებულია ერთ-ერთ ლაბორატორიაში.<br>ამ ვითარების გამოსასწორებლად უმჯობესი იქნება გამწოვი სისტემის მილების დემონტაჟი და გადატანა იმ ოთახში, რომელიც განსაზღვრულია ქიმიის ლაბორატორიისთვის და დამატებით, |

| | |
|---|---|
| | გამწოვი კარადის შეძენა და მონტაჟი, რადგან მილებიანი გამწოვი სისტემა მუშაობს მთელ ოთახში, ხოლო გამწოვი კარადა მუშაობს ლოკალურად - გაიწოვს ნივთიერებებს პირდაპირ ცდის განხორციელების ზონიდან, რაც უზრუნველყოფს სახიფათო ნივთიერებებთან უსაფრთხო მუშაობას. ასეთი კარადა მათი გამოდევნის საშუალებას იძლევა მანამ, სანამ ქიმიური ნივთიერებები მასწავლებლის ან მოსწავლის სამუშაო ზონაში ჰაერში მოხვდებიან, მაგალითად, ისეთი რეაქციების დროს, სადაც ინტენსიურად გამოიყოფა აირადი ნივთიერებები. ეფექტური და უსაფრთხო სწავლებისთვის, **ქიმიის ლაბორატორიის ოთახი არ არის აღჭურვილი გამწოვი კარადით და გამწოვი სისტემის მილებით.**<br>აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ ოთახებში **არ არის** მერხები და სკამები, აგრეთვე, სპეციალიზებული ლაბორატორიული ავეჯი - ლაბორატორიული მაგიდები, სადემონსტრაციო მაგიდა სპეციალური ცეცხლგამძლე და ქიმიკატებისადმი მდგრადი დაფარვით, აღჭურვილობის, რეაგენტებისა და მინის ჭურჭლის შესანახი კარადები, მოსწავლეებისათვის დამცავი აღჭურვილობა - ხალათები, წინსაფრები, სათვალეები, ნიტრილის ხელთათმანები (ლატექსის ხელთათმანებისგან განსხვავებით შეუმჩნეველია და უფრო მაღალი მდგრადობა აქვთ ჩხვლეტისა და ქიმიკატების მიმართ); ხანძრის ქრობის ძირითადი აღჭურვილობა - ცეცხლმაქრები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციები, გამოკრული თვალსაჩინო ადგილას; პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები - რომელიც მოიცავს: ჭრილობების დასამუშავებლად სტერილურ სახვევებს და პლასტირებს, ანტისეპტიკებს (წყალბადის ზეჟანგი, ქლორჰექსიდინი, იოდი) – დეზინფექციისთვის, ბორის მჟავას ხსნარს – კანთან ტუტე კონტაქტის შემთხვევაში, სოდის ხსნარს – კანთან მჟავა კონტაქტის შემთხვევაში, სორბენტებს (გააქტიურებული ნახშირი, ენტეროგელი) – ქიმიური ნივთიერებების შემთხვევითი გადაყლაპვის შემთხვევაში, სასურველია, იყოს ანტიდოტი – გარკვეული მოწამვლის გასანეიტრალებლად, აგრეთვე თვალის აბაზანას და სტერილური ხსნარი (მაგალითად, ფიზიოლოგიური ხსნარი ან ბორის მჟავა) – ქიმიური ნივთიერებების კონტაქტის შემდეგ თვალების გამოსავლებად.<br>საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისათვის განკუთვნილ ოთახებში არ არის დამონტაჟებული პროექტორები და ეკრანები ან/და ინტერაქტიური დაფები. თანამედროვე ტექნოლოგიები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საგანმანათლებლო პროცესში, რაც ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის გაკვეთილებს უფრო ვიზუალურსა და ინტერაქტიულს ხდის. ციფრული და ინტერაქტიული სასწავლო ინსტრუმენტები ეხმარება მოსწავლეებს მასალის უკეთ გააზრებაში, ვირტუალური ექსპერიმენტების ჩატარებასა და რთული ქიმიური პროცესების სიმულირებაში ჯანმრთელობისთვის რისკის გარეშე;<br>ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია პრაქტიკული და კვლევითი სამუშაოებისათვის სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე;<br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ვადებში<br>( 22.05.2026-30.04.2027), სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ფიზიკის, ქიმიისა და |

| | |
|---|---|
| | ბიოლოგიის ლაბორატორიების სრულად აღჭურვა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, პრაქტიკული და კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე;<br><br>**ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმებში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სწავლის მიზნების შესაბამისია. პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამის დამხმარე რესურსებს. სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს. ინფრასტრუქტურა და მასალები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობასა და მათი ჩართულობის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიანად წარმართვას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ახალი სასწ. წლისთვის სკოლას და უცხოური ენების კათედრის თითოეულ წევრს უფრო მეტად ექნებათ შესაძლებლობა კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | ამჟამად სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა სხვა სკოლის შენობაში, მეორე ცვლაში. თუმცა ახალგარემონტებული შენობა, რომელშიც მომავალი სასწავლო წლიდან განაახლებენ სწავლას, სრულად უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა მხარდაჭერილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მათ შორის გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მატერიალური და ციფრული რესურსებით. აღნიშნული რესურსები მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას ეფექტურად წარმართონ სასწავლო პროცესი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, ყველა მოსწავლე დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, ზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. აღსანიშნავია რომ სკოლას აქვს თანამედროვე კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, გამოსაცვლელი ოთახები და გარე სტადიონი. ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა სრულად არის მოწესრიგებული; ასევე უახლოეს პერიოდში იგეგმება დამატებითი გარე სტადიონის გაკეთება, რომელსაც გამოიყენებენ რაგბის თამაშებისთვის. მოგეხსენებათ შუხუთში ტარდება ძველი ტრადიციული თამაში ,,ლელო ბურთი''.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსებით, რაც შესაძლებელს ხდის როგორც თეორიული ცოდნის ეფექტიან მიწოდებას, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას.<br>მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გათვალისწინებულია ისე, რომ თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს რესურსებზე ხელმისაწვდომობა და აქტიური ჩართულობის შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მუშაობას, უსაფრთხო და ორგანიზებულ სასწავლო პროცესს და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების სრულფასოვან მიღწევას. ადგილზე ვიზიტით დადასტურებულია, რომ სკოლის ახლად რეაბილიტირებულ შენობაში გამოყოფილია სივრცე კომპიუტერული ლაბორატორიის მოსაწყობად. მასპინძელი სკოლის შენობაში მოწყობილ კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია შესაბამისი რაოდენობის კომპიუტრერული ტექნიკა სასწავლო პროცესში ეფექტური გამოყენებისათვის. აღნიშნული გარემო ქმნის ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო სივრცეს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს – „კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური ბაზით, რომელიც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივ და ტექნოლოგიურ რესურსებს. |

| | |
|---|---|
| | სასწავლო სივრცეები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება დადგენილ ზღვრულ ნიშნულს, რაც ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას ქმნის.<br>სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების შესაბამისობას როგორც ასაკობრივ, ისე საგნობრივ მოთხოვნებთან. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი და კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში არის 25 მასწავლებელი, მათ შორის 3 არის წამყვანი მასწავლებელი, 22 კი უფროსი. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი და სსსმ მოსწავლის 1 ინდივიდუალური ასისტენტი. პედაგოგიური კადრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან წარმართვას. მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- განხორციელებული პროექტების ბმულები;
- ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის" მე-9 მუხლში აღწერილია პროცესები, რომელიც მოიცავს: „(ა)კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია". აღნიშნული წესიდან გამომდინარე „დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება და მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისადპროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს". თუმცა პრაქტიკაში მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. პრაქტიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ სკოლა აგროვებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მონაცემებს, მათ შორის შუალედური და საბოლოო შეფასებების ანალიზს, შეფასების რუბრიკების საფუძველზე განიხილავს მოსწავლეთა ნამუშევრებს. მასწავლებლებთა ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის თანამშრომლებს გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა, თუმცა ჯერ სისტემატიზებულად არა აქვთ განხორციელებული კურიკულუმების გადასინჯვის პროცესი. ამასთან, სკოლის მიერ მომზადებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და თანამდებობრივი ინსტრუქციები ქმნის

საფუძველს, რათა კურიკულუმის განხორციელების პროცესში თითოეულმა პირმა მკაფიოდ გაიაზროს თავისი როლი და პასუხისმგებლობა.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არის მხარდაჭერისა და განვითარებაზე ორიენტირებულობის მექანიზმი. სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები, ცდილობენ მონაცემების შეგროვებას, რის შემდეგაც აანალიზებენ მიღებულ შედეგებს და ანალიზის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი და ასევე განვითარდნენ პროფესიულად. ანალიზის შედეგებით ცდილობენ გამოყონ პრიორიტეტები და დაგეგმონ მათი შემდგომი საქმიანობა.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გადაწყვეტილებების მისაღებად, მნიშვნელოვანია განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რაც ხელს უწყობს და შეუწყობს მათ წინსვლას, ვინაიდან გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე ხდება მასწავლებელთა მხარდაჭერა სკოლის ბაზაზე და ასევე გარე აქტორების მხრიდან. სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის გაცემის პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს ასევე ურთიერთთანამშრომლობის კულტურის დანერგვას სკოლაში და მასწავლებლის პროფესიულ ზრდას. სკოლაში არის სრული მზაობა, რათა მოხდს პროცესების გაუმჯობესება, რაც საბოლოოდ აისახება მათი მოსწავლეების აკადემიურ მოსწარებაზე. სკოლაში ჩამოყალიბებულია მიდგომა, სადაც მონიტორინგი და შეფასება პირდაპირ ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებას, პროფესიულ ზრდას და კურიკულუმის განხორციელების პროცესში მხარდაჭერას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების უკუკავშირის ნიმუში;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა მრავალწყაროიან მიდგომას ეფუძნება. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც აკადემიური შედეგები და მოსწავლეთა ნამუშევრები, ისე მასწავლებლის დაკვირვებები, თვითშეფასება და მშობელთა უკუკავშირი. მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. შედეგების ანალიზი მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ასპექტებს. შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. სკოლა გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოებისგან ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას სხვადასხვა კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებით.
**რჩევა:** სასურველია შეფასების შედეგებზე დაფუძნებული რეფლექსიისა და მონაცემთა ანალიზის პრაქტიკის მეტად სისტემატიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებასა და ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე უფრო ეფექტიან რეაგირებას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა შეფასების პროცესში ითვალისწინებს არა მხოლოდ მოსწავლის აკადემიურ შედეგებს, არამედ იმ გარემო და ინდივიდუალურ ფაქტორებსაც, რომლებიც გავლენას ახდენს მის სწავლასა და ჩართულობაზე. შეფასებისას ყურადღება ექცევა მოსწავლის ემოციურ მდგომარეობას, სოციალურ და ოჯახურ გარემოს, კლასის კლიმატსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს უფრო სამართლიანი და მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების პროცესის ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეების, მათ შორის შინსწავლებაზე მყოფი მოსწავლეების, საჭიროებების გათვალისწინებას და ცდილობს შეფასების პროცესის მათ შესაძლებლობებზე მორგებას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან და კომპლექსურ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სიღრმისეულ და ობიექტურ შეფასებას. მასწავლებლები იყენებენ როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მიდგომებს - დაკვირვებას, თვითშეფასებას, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს, გამოკითხვასა და თვითრეფლექსიას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესს. სწავლების პროცესში შემოქმედებითი დავალებების გამოყენება ქმნის ფუნქციურ სასწავლო გარემოს და ავითარებს მოსწავლეთა ცოდნასა და კრეატიულობას. სკოლას აქვს მზაობა შეფასების რუბრიკების დახვეწისა და დიაგნოსტიკური ინსტრუმენტების დანერგვის მიმართულებით.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**
   სკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მრავალმხრივ ანალიზს და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და სწავლის პროცესზე მოქმედ გარემო ფაქტორებს. სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები განსაზღვრავენ მისაღწევ შედეგებს, აანალიზებენ დაგეგმილი აქტივობების შესაბამისობას და აფასებენ იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს სასწავლო მიზნების მიღწევაზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, სწავლის სტილს, რესურსების ხელმისაწვდომობასა და სოციალურ-ემოციურ გარემოს. პედაგოგები შეფასებისას ითვალისწინებენ როგორც აკადემიურ შედეგებს, ისე მოსწავლის მოტივაციას, ურთიერთობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. სკოლაში გამოყენებული მულტიფაქტორული მიდგომა ქმნის საფუძველს მოსწავლის განვითარების უფრო სრულყოფილი შეფასებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო მხარდაჭერის დაგეგმვისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- დამრიგებლის დებულება და სამოქმედო გეგმა.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის რეგულარულ გადასინჯვას მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას. წლის განმავლობაში პედაგოგები აკვირდებიან სასწავლო პროცესს, აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს კათედრების დონეზე და აფასებენ სასწავლო პროცესის შესაბამისობას მოსწავლეთა საჭიროებებსა და სასწავლო მიზნებთან. გასაუბრებისა და მასწავლებლების საგნობრივ ექსპერტებთან კომუნიკაციის პროცესში გამოიკვეთა სკოლის მზაობა კურიკულუმის მუდმივი განვითარებისათვის. პედაგოგები გეგმავენ რეკომენდაციების შემუშავებას ურთიერთდასწრების, რეფლექსიისა და დაგროვილი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, პროცესში კი აქტიურად არიან ჩართული საგნობრივი კათედრები.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, ის მოიცავს დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებს. კურიკულუმის განახლება ეფუძნება სასწავლო პროცესში დაგროვილ გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებს, რაც ხელს უწყობს მისი ეფექტიანობის გაუმჯობესებას. გასაუბრების პროცესში,

პედაგოგებმა დაადასტურეს მზაობა, კათედრებზე გაანალიზებული მიგნებების საფუძველზე შეიმუშაონ რეკომენდაციები მომავალი წლის კურიკულუმის დასახვეწად. ამასთან, სკოლის სამოქმედო გეგმა ასახავს კურიკულუმის რევიზიის პროცესის სისტემურობას და შიდა სტრუქტურების აქტიურ ჩართულობას, რაც ქმნის საფუძველს კურიკულუმის უწყვეტი განვითარებისთვის.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

........................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................

თარიღი : 05.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ.ჯაყელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

Rusudan Niparishvili 24001015864

Digitally signed by Rusudan Niparishvili
Date: 2026.03.19 07:52:28

რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)